K 32434
1

ეროვნული
ბიბლიოთეკა
88
XIV.
1831
F 266.
F3

Батумская Публичная Библиотека
Г1-11
ჯ-863

მოსე ხონელი

და

მისი ამირან-დარეჯანიანი

ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა:
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!..

გრიგოლ

წერილი

მ. ჯანაშვილისა.

1957

ტფილისი. 1895 წ.
სტამბა მაქსიმე შარაძისა. ნიკ. ქუჩა № 21.

№
AKAKI TSKHAKAYA BATUMI PUBLIC LIBRARY
ჯ-91
ᲙᲜᲘᲒ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

82P.353.1-31
მ 863

მოსე ხონელი

და

მისი ამირან-დარეჯანიანი

ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა:
მათ ში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!..
გრიგოლ

K 32434/1

წერილი
მ. ჯანაშვილისა.

ბათუმის ეროვნული ბიბლიოთეკა
№
AKAKI TSERETELI BATUMI PUBLIC LIBRARY

ძ-ენიკ-01

ტფილისი. 1895 წ.
სტამბა მაქსიმე შარაძისა. ნიკ. ქუჩა №21.
Типографія М. Шарадзе и Ко Тифлисъ. ник. ул. №21.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 26 Мая 1895 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე ხონელი

და

მისი «ამირან-დარეჯანიანი»

არცოდნა არცოდვაა.
ხალხ. თქმულ.

მოსე ხონელი. იგავ-ალეგორია. პრომეთეოსი და ამირანი. ძველი გმირები და წმ ნინო. მსგავსება ამირან-დარეჯანიანისა და ვეფხის ტყაოსნისა. შავთელი და რუსთველი. ავთანდილი (ლეგენდით) და ავთანდილი ვეფხის-ტყაოსნით. ამირან-დარეჯანიანში მოთხრობილია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა მაჰმადიანობასთან. ბრუთია პრომეთეოსი და არა ამირანი. ამირანმა ცეცხლი მოსტაცა არმაზს და შეშის თაყვანისმცემელი შეიქმნა. ქაჯეთი და ქაჯნი. ხაზარეთი. გმირი ალღუზონ. მეფე ჩაჩანთა. მეფე კალმუხთა. გორანდის მთავარი ასლან გამრეკელი. ოსთა მეფეები. ჭენთა სამეფო. არაბეთი საქართველოა. ქორწილი ამირანისა და ხვარეშან ქალისა (თხრობა ხონელისა). დასკვნა. მოსამზადებელი ხანა და მისი ნაყოფი. როგორ უნდა გამოიცეს ამირან-დარეჯანიანი.

დღემდის თითქმის არა ვიცით-რა შესახებ იმ კაცისა, რომელსაც ჰქვიან მოსე ხონელი. ვიცით მხოლოდ, რომ „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“. ხოლო როგორ უქია, ვინ ყოფილა ეს ამირანი, რა გაუკეთებია საქებელ-სადიდებელი,— ყოველივე ეს წყვდიადით მოცულია ჩვენთვის. აგერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდი-რვა საუკუნე კიდეც სრულდება „ამირან-დარეჯანიანის“ დაწერის შემდეგ და დღემდის კი ეს წიგნი არ არის დასტამბული. ნუთუ იგი, მართლაც, დაბეჭდვის ღირსი არ არის? ნუთუ მას ვერ შეიწყნარ-შეიგუებს ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ერი, ქვეყანა? ნუ დავივიწყებთ, რომ თუ „ამირან-დარეჯანიანი“ დიდის ღირსების წიგნი არ ყოფილიყო, თვით პოეტთა მეფეც არ მოიხსენიებდა მისის დამწერის სახელს.

მოსე ხონელი დავით აღმაშენებელის თანამედროვე ყოფილაო, ამბობენ ზოგიერთნი. მას ჯერ უსწავლია გელათის სკოლაშიო და მერე სწავლის დასამთავრებლად დავით მეფეს იგი, სხვა ახალგაზდებთან ერთად, წარუგზავნია საბერძნეთსო, იქიდგან რომ დაბრუნებულა, იგი დაუნიშნავთ მთის მმართველადო. აქ დაუყვია რაოდენიმე ხანი და შემდეგ სამეფო კარს მიუწვევიათ და სხვა თანამდებობა მიუციათო მისთვის. ასრეა ზეპირ თქმულობით. ხოლო ნამდვილად კი არა სჩანს, თუ მოსე ხონელს რომელ წელიწადს დაუწერია თვისი უკვდავი ქმნილება. დაჭეშმარიტებით მხოლოდ ის ვიცით, რომ «ამირან-დარეჯანიანის» ავტორი ყოფილა რუსთველის წინამორბედი, და, როგორც საქმის გარემოება და თვით „ამირან-დარეჯანიანის“ შესწავლა გვიჩვენებს, მოსე ხონელი უნდა ყოფილიყო თანამედროვე თამარ დედოფლისა. თუ მოსეს ჰქონდა ბედნიერი და დღეგრძელი ცხოვრება, მას შეეძლო მოსწრებოდა აღმაშენებლის მეფობასაც და თავის თვალითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხილა დიდებული მეფობა თამარ დედოფლისა, ვინაიდგან პირველის სიკვდილსა († 1125 წ.) და მეორის გამეფებას (1184 წ.) შორის მხოლოდ 59 წლის მანძილია. არც ისა სჩანს, თუ მოსე რომელი გვარისა ყოფილა. ხონელი მას ზედ-დასდებია მხოლოდ მისთვის, რომ იგი ყოფილა ხონის მკვიდრი.

თუმცა მოსე ხონელის შრომა უკვე შესწავლილი გვქონდა, მაგრამ ეხლახან „წერა-კითხვის" წიგნთ-საცავიდგან კიდევ გამოვიტანეთ ერთი ცალი «ამირან-დარეჯანიანისა» [1]) და ხელ-ახლა გადავიკითხეთ იგი დიდის გულმოდგინებით.

„ამირან - დარეჯანიანი" 316 კაბადონოვანი ხელთნაწერია. იგი გადაწერილია ძველის დედნიდამ 19 აპრილს 1825 წელს. წიგნის ტექსტი დაბოლოვებულია ასრე: «აჰა, დასრულდა წიგნისა ამის თქმულობა,—მოსე ხონელისა მიერ ნასიტყვნი საკაცობო და სამხედრო ამბავნი. და ისმინეთ მკითხველთა ყოველთა. ამინ»

ჩვენ განგებ გავხაზეთ სიტყვები „საკაცობო" და „სამხედრო". წინაალმდეგ ერთის მეცნიერისა, რომელიც «ამირან - დარეჯანიანის» შესახებ ამბობს:

---

[1]) წერა-კ. წიგნთ-საცავში არის ექვსიოდე ხელ-ნაწერი მოსე ხონელის ქმნილებისა. ჩვენ გვქონდა № 1119. შინაარსი „ამირან-დარეჯანიანისა" მოკლედ მოთხრობილი აქვს ბროსეს (Bullet. scien de l' Acad. imp. des sc. de S.—Petersbourg, III. გვ. 7—16) და უფრო ვრცლად ა. ხახანაშვილს (Очерки по ист. груз. словесности. Выпускъ I. Народный эпосъ и апокрифы).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქრისტიანობის კვალს ამ მოთხრობაში ვერა ვპოვებთო“, ჩვენ კი გვგონია, რომ ამ წიგნში ალეგორიულ—იგავურად გამოხატულია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქებთან რჯულისა და თავისუფლების დასაცველად. გვჯერა აგრეთვე ისიც, რომ „ამირან-დარეჯანიანში“, ვითარცა უკვდავ „შაჰ-ნამეში“, ადვილ გასაგებ და მოთხრობისებრ ენით გამოხატულია ჩვენი ისტორია, ბრძოლა მამულის შვილებისა უამრავ სარკინოზებთან. ხონელის ჭაბუკნი და გმირნი ებრძვიან მოსეულ მტრებს, დევებს, ვეშაპებს, გველებს, ბუმბერაზებს, ლომებს, დათვებს, მგლებს, თეთროსან, შავოსან, წითლოსან ხალხებს, ბაყბაყ-დევს, ხაზარანს, სარკინოზებს, თურქებს და სხვ.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ისტორიის ალეგორიულ-იგავურად მოთხრობა ძველ დროს ძრიელ გავრცელებულიყო ყველა ხალხებში. ალეგორია-იგავითვე გამოთქმულია ჩვენი „ვეფხის-ტყაოსანი“, სახალხო სიმღერა „მოდი, ვნახოთ ვენახი“ და სხ. „მამათ ცხოვრებაში“ სწერია: „დათვი მოასწავებს სპარსთა მეფობასა ბაბილონში, ლომი—სარკინოზთა (არაბთა) მეფობას ბაღდადს ბაბილოვნისას, მგელნი არიან მწვალებელნი, თიკანნი—ეშმაკთა მსახურნი, ხოლო კრავნი, ხბონი და კურონი ჭეშმარიტნი და უმანკო სამწყსონი ქრისტესნი... ლომთა და მგელთა მათ არა აქვსთ უფლება განხეთქად კრავთა მათ სამწყსოთა ქრისტესთა (გვ. 398).

ამნაირადვე სიმღერით „მოდი, ვნახოთ ვენახი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ხალხს იგავ-ალეგორიულად გამოუთქვამს, რომ ვენახი (საქართველო?) შეჭამა თხამო, თხა—მგელმა, მგელი—თოფმა, თოფი—ჟანგმა, ჟანგი—მიწამ, მიწა—თაგვმა, თაგვი—კატამ, კატა—დათვმა, დათვი—ფრანგმა. სწორედ ამნაირივე იგავურ-წინასწარმეტყველებრივი თქმულობა აქვთ ურიათაც *. ამავე ალეგორიამ და თვისებათა მსგავსებამ წარმოშობა გვარნი მგელაძე, დათაძე, ლომიძე, თიკანაძე, ცხვარაძე, ვეფხვაძე, შველიძე, ვეშაპიშვილი, დევიძე, ფალავანდიშვილი და სხ.

მოსე ხონელის გმირებს ამირანს, ამბრის, უსიპს, ბადრიძეს, სავარსიმიძეს [2]), სეფე დვალი დარისპანიძეს [3]), ქოსიძეს და სხ. და აგრეთვე მათს ლაშქარს: (რომლის რიცხვი იშვიათ შემთხვევაში არის 40,000—60,000 მეომარი) დევ-გველ-ვეშაპებთან ერთად ებრძ-

---

*) ტეილორი „Первоб. культура“

[2]) ბადრიძე და სავარსამიძე. ეს გვარნი დღესაც არიან საქართველოში. სავარსამიძე ღენერალიც კი იყო (მისი ბიოგრაფია იხილე გუნიას კალენდარში).

[3]) მ. ხონელი სწერს: ხან სეფე დვალი დარისპანისძე, ხან სეფედვალე დარისპანისძე. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სეფე სახელი უნდა იყოს (იმერეთში დღესაც ხშირია ეს სახელი), ხოლო დვალი—გვარი (რაჭაში არიან აზნაურები, რომელთა გვარია დვალი. აქედგანვე წარმოიმდგარა ქართველ აზნაურების დვალიშვილების გვარი. არის აგრეთვე სოფელი, რომელსაც ჰქვიან დვალიშვილები, ხოლო ოსეთში არის აგრეთვე ქვეყანა დვალეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიან უამრავნი ლაშქარნი მტრისა, ხანდისხან 800,000 კაცი.

ვიდრე მოვიყვანდეთ ცნობებს შესახებ ამირანისა და მის მოძმე ჭაბუკების ბრძოლისა აურაცხელ მტრებთან, საჭიროა წინათვე გამოვარკვიოთ ზოგიერთი წვლილი.

«ამირან-დარეჯანიანი»-დამ ცხადად სჩანს, რომ მ. ხონელს თვისი მოთხრობა აუშენებია უუძველეს თქმულობაზე შესახებ ამირანისა (პრომეთეოსისა). ხოლო ბერძნების მიერ მოთხრობილი ლეგენდა „პრომეთეოსი“, საზოგადოდ, მცირედ განსხვავდება ქართულ ლეგენდისაგან „ამირანი“.

„პრომეთეოსი“.	„ამირანი“
პრომეთეოსმა ადამიანებს მისცა ცეცხლი, რომელიც მოსტაცა ზეუსს და რომელიც დამალა მცენარის ნართიკის[4]) გულში. ზეუსმა ჰეფესტს (მჭედელს) უბრძანა მიემსჭვალა იგი კავკასიონზე. ამის შემდეგ არწივი ყოველ დღე მოდის და ღვიძლს უჭამს	ამირანი შეებრძოლა ქრისტეს. ამან აჯობა და მიმსჭვალა კავკასიონზედ. ყორანი უზიდავს საჭმელს. მეგობრად ჰყავს ძაღლი. მონადირეს მიესმა ვენესა ამირანისა (ხევს. ლეგენდა). ქრისტემ ამირანი მიაბა რკინის სვეტზე, რომელსაც ყოველ წლიე

[4]) ჩვენს გმირისეულს მოთხრობებში ხშირად შეგვხვდება ნართი (გორგალი). ვინ იცის, ამ ჩვენებურს ნართს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს ბერძნულ ნართიკსთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას. დღისით შეჭმული ღვიძ-ლი, ისევ უმთელდება ღამე (აპოლლოდორ 140 წ. ქრ. წ.) არგონავტებს (მე-XII საუკ. ქრ. წ.) მიესმათ კვნესა პრომეთეოსისა (ს. როდოსელი 250 წ. ქრ. წ.).

ამაგრებს ფრინველი (სვან. ლეგენდა). მიჯაჭვულ სვეტს ეოკელ წლიკ ამაგრებენ მჭედელნი (ქართლ. ლეგენდა).

ერთობა ლეგენდებისა შესახებ ამირანისა ⁄ პრომეთეოსისა უკვე მიღებულია მეცნიერთაგან. ხოლო ჩვენ იმათი მიმდევარნი არა ვართ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ, ვითომ, ამირანი იყოს არიმანი სპარსთა, ანუ ჩვენ-მიერ გადმოკეთებული პრომეთეოსი. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ამირანი“ აღმოცენებულია საქართველოს ნიადაგზე *), რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს არიმანთან და რომ ბერძნებს ჩვენი ლეგენდა გადაუკეთებიათ პრომეთეოსად. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მრავალ კულტურულ წვლილს, რომელიც შეუმუშავებიათ ქართველებს, დღესაც ზოგიერთნი მიაწერენ ბერძნებს, რომაელებს, სპარსებს, არაბებს და სხ. მაგ. სიტყვა მაყარი არაბულიაო, გვეუბნებიან. არაბული ყერი-დგან წარმოსდგა მოყარი (moqar) და ამისაგან ქართული მაყარი. ჩვენის აზრით კი სიტყვა მაყარი არის მიმღეობა ზმნისაგან ყრა. მა-ყარი არის ის კაცი, რომელიც ნეფე-დედოფალს წინუძღვის, მფარველობს, და, შემოიყვანს-რა ეზოში, თავზე გადააყრის ოქროვერცხლის ფულს. ეს ჩვეულება შეინიშნება ძველით-

*) ამასვე ამტკიცებს გ. ე. წერეთელი („Кавказъ“, 1892 წ., №№ 73, 74).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვე და სრულდება დღესაც საქართველოში, ბო-
ლო ფულის უქონლობისა გამო ნეფე-დედოფალს
თხილს გადააყრიან ხოლმე. ასრე იციან, მაგ. საინ-
გილოში, საცა მაყარი ნეფეს გადააყრის ერთ ლან-
გარ თხილს და ღარიბ-ღატაკნი და წვრილ-ფეხო-
ბა აგროვებს მას. სიტყვა მაყარი გვხვდება თვით ად-
გილის სახელწოდებაშიაც, მაგ. გუდამაყარი. მოიგო-
ნეთ ლეგენდა ამ გუდამაყრის გაშენების შესახებ და
დარწმუნდებით, რომ მაყარი არაბული მოუერი არ არის.

დიაღ, იქმნება სიტყვის მაყრის ახსნაში მე ვსცდე-
ბოდე, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ვიდრე კარგად
და ზედ-მიწევნით არ შევისწავლით ჩვენს ენას, ჩვენს
ზნე-ჩვეულებას, არც უნდა ვამტკიცოთ, რომ მაყა-
რი არაბული სიტყვაა, ამირანი არიმანიაო, ღმერ-
თი სპარსული სიტყვაა, ნინა იტალიურიაო [5])

---

[5]) გამოჩენილი ლიტერე და სხ. ამბობენ: ქრის-
ტიანობა რომ ადვილად მოფენილიეო სალხშიო, ქრის-
ტიანეთა მოძღვრებმა ბევრი ძველი წეს ჩვეულება არ შესცვ-
ალესო, ქრისტიანულ წეს-ჩვეულებას ძველებური სახელები
დაუტოვესო. ნინოს სახელიც ალბად ასრე წარმოსდგა. მი-
რიანის ცოლს ერქვა ნანა, წარმართ ქართველებს ჭყანდათ
ღმერთ-დედოფალნი აჯ-ნინა და დაჯ-ნინა. ლეგურად დედას
ჭქვიან ნინო, ინგილოურად ნანა, ათსაზურად ანან, მეგ-
რულად ნაია, გურულად ნენა. საკენო სიმღერას ნანა.
მეგრულად ენას ჭქვიან ნინა, სვანურად ნინ. ეი ამ სალმთო
სიტყვებიდგან, ალბად, წარმოსდგა სახელი მოციქულთა
სწორის და საქართველოს დედის ნინოსი. მან მოგვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორებ „ამირანისა“ და „პრომეთეოსის“ მსგავსება ეჭვს გარეშეა. ახლა ვნახოთ, ამ გვარიცვ კავშირი არის თუ არა „ამირან-დარეჯანიანსა“ და ხალხურ ლეგენდას „ამირანს“ შორის.

ლეგენდით.

ამირანი იყო სულკალმახის, დარეჯანისაგან ნაშობი, შვილი. ამირანის უფროსი ძმებია ბადრი და უსიბი (სვანურის ლეგენდით ამირანის მამა იყო მონადირე და დედა დალი. ამირანი იშვილა იამანმა, რომელსაც

მოსე ხონელით.

ბადრი იყო იამანის ძე (გვ. 15) უსიბი მას გაუხდა ძმად და ეტიკად (გვ. 22). ერთს ქვით-კირის კოშკში ეწერა ესრეთ: ამირან დარეჯანისძე, ბადრი იამანისძე (გვ. 3). უსიბი ბადას ქმარია (გვ. 40). უსიბი ამი-

---

ტანა ახალი ენა (ნინა), მან გეიგალობა ახალი ნანა, მან დაანგრია წარმართოული ღმერთები ად-ნინა და დად-ნინა, მან გაგვაახლა და გვითაუკანა ნინოსკე, არა წარმართულს, არამედ ქრისტიანულს. თვით ის გარემოება, რომ მცხეთაში დაბინავებულმა ნინომ „შექმნა სახე ჯვარისა ვაზის ნასხლეკისაგან“ იმასვე გვეუბნება, რომ მეგენასე-მეღვინეობა პატივდებული იყო საქართველოში ძველითგანვე. უეჭველია, წმ. ნინომ კარგად იცოდა, თუ რა სასწაულს მოახდენდა «ვაზის ჯვარი», იმ ვაზისა, რომელსაც ქართველი კაცი, ალბად, მაშინაც ისრეკე დაჭიდინებდა, როგორც დაჭიდინებს ჩვენს დროსაც: „ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭეკანდა შვილები ბადრი და უსიბი; ქართლურ ლეგენდით ამირანი შვილია უსიბისა, რომელსაც ჭეკეს ძმები სულკალმასი და ბადრი).

რანს თვის ბატრონად ჭსადის (გვ. 48).

ჭიანი, დეკის თავიდგან რომ ამოტოტდნენ, ვეშაპებად იქცნენ. ერთი იყო თეთრი, ერთი წითელი და ერთიც შავი. ამირანმა თქვა: თეთრი ბადრს, წითელი უსიბს და შავი მე, ამირანს. უსიბმა უპასუხა: შავიც შენ, წითელიც და თეთრიცაო.

გაახენეს კარნი კლდისანი და გამოვიდეს სამნი-ვეშაპნი: ერთი შავი, ერთი თეთრი და ერთი წითელი. თქვა ამირან დარეჯანისძემ: შავი მე, თეთრი შენ, სავარსიმიძე, და წითელი უსიბს. უსიბ მოახსენა: ჩემი წითელიც შენთვის მოამიხსენებიაო (იქვე).

ამირანი სასტიკად შეება გველეშაპებს. მოჭკლა თეთრიც და წითელიც. მერე, დაღალული და დამშვრალი, შეება შავს. შავმა ჩაყლაპა ამირანი და თავის დედისკენ გასწია. ძმები გაიქცნენ ამირანის საშველად. ესროლა უსიბმა ისარი და ცხრა ადი კუდი მოსწყვიტა გველეშაპს... ამირანს ჯიბეში

შემოგვიტიეს ვეშაპთა. მოვიდა წითელი. ჭკრა ამირანმა ხმალი და მოკლა. მერმე მე (სავარსიმიძე) და იგი თეთრი ვიბრძოდით. ჭკრა და იგიც მოკლა ამირანმა. ამაზედან შავმა შემოუტია უკანიდან, ჩანთქა და გაიქცა. მივეწიე, ვკარ ხმალი და კუდი მოვკვეთე. მას ადგილს სახლი იყო და მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასის დანა ედვა. ამოიღო იგი, გამოსჭრა მუტელი და გამოვიდა.

შიგან შეიხვეწა. ეძღარ ეგიგენით გზა და კვალი მისი. ხელი იყო ამირანისა (ჩვეულება ჭქონდაო), რომე იქით და აქეთ მოგვიგან (ლაფჩინის ყელში) ორნი დაშნანი ესხნიან. ამოიხვნა, შიგან მუტელი გაუჭრა, გამოჭვეთა გვერდი და გამოვიდა სისხლით მოსვრილი (გვ. 46).

ამირანმა უთხრა უსიპს: მტერი არ მიზამდა იმას, რაც შენ მიყავიო, არ მიშველეო.

ამირანმა გვიბრძანა ჩვენ: ავათ მიშველეთო (იქვე).

ჩაბალხეთს შეკიყარენით, თავს მოვხვდით ბალხის კარავსა. დეკები (300 დეკი) ხმალ ქვეშ მოვატანენით. დავსხვდით ღვინის სმაზედა.

ველს ბალხეთი. ბალხეთის მეფე მოუკლავს ვისმე ბალხამს ყამისძეს. ამირანი მეფის საშველად მიდის 500-ის კაცით, მესრს ავლებს მტრებს და ათავისუფლებს ბალხეთს. და მერე „ვსმიდით ხოშგურულსა [6]) ლალის ფერსა ღვინოსა (გვ. 303.

[6]) ხოშგურული, მგონი, გურიას მოგვაგონებს, ვინაიდგან „ხოშ“ თითქმის მუდამ რთულად იხმარება: ხოშტარია ‘ხოშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანის ცოლს, რომელსაც იგი იტაცებს ზღვის გადადმიდგან, ‖ქვიან უამარი. უამრის მამა გამოეკიდება ამირანს თავის ლაშქრით-ქაჯებითა და ეშმაკებით. ამირანი ამარცხებს მას.

ამბრი მოკვდა. დაუდეს ურემზედ და შეუბეს 12 უღელი ხარ-კამეჩი. ფეხი ამბრისა ძირს ეთრეოდა. მისმა დედამ სთხოვა ამირანს ურემზე დაუდე ფეხიო. ამირანმა ვერც კი დასძრა, რადგან ფეხი მძიმე იყო (სვანურის ვარიანტით ადვილად ასწია ფეხი და ურემზედ შედვა). დაღონდა ამირანი.

ამირანის ცოლი იყო ხვარეშანი *), ზღვათა მეფის ასული. ქაჯნი გასწყვიტა ამირანმა, იგი ქალი გამოიყვანა და შეირთო. უამარ უამრელი ამირანის მეგობარია.

ამბრი ომარის ძე დიდი გმირი იყო და მომხრეობდა არაბთა მეფეს. მის საშველად წავიდა ამირანი 10000მეომრით. ერთიდღის სავალი რომ გაიარეს, მოუვიდა კაცი და მოახსენა: ამბრი მოკვდაო. დაუმძიმდა ამირანს სიკვდილი ამბრისა (გვ. 88).

კაკალა, ხოშამბარი; ხოშგერმა (იგივე ხოშაგერმა) სოფელია საბარათიანოში. სიტყვაში ხოშ-გურული ხოშ, შესაძლებელია, უდრიდეს სვანურს ხოჩა, კარგი, კეთილი.

*) ხვარეშანი ითქმის აგრეთვე ხვარაშან-ად. სვანური ხვარი უდრის ქართულს ვარ. მაშასადამე ქართულს სახელებს ხვარა-მზე, ხვარე-'შან დაუცავს ძველანდელი ფორმა ხვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსება თხრობათა შესავლისა.

შესავალი ლეგენდისა

ამირანი და ძმანი მისნი სანადირად წავიდნენ. ნახეს სარი-ირემი, უზარმაზარი რქიანი. ირემი გაიქცა. მონადირენი მიჰყვნენ. მოუკვლიეს კვალი, ნახეს დანაჭლიები ეშმაკისი. უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბრალის ქვისა. კოშკში ლომი იწვა. მარჯვნივ ედვა ხმალი, თითებსა და თითებს შუა წიგნი ჰქონდა ქაღალდისა. წაიკითხეს. ეწერა:

შესავალი „ამირან-დარეჯანიანისა“.

მონადირენი გავიდნენ სანადიროთ. ერთი ქურციკი ნახეს. რქანი ოქროს ფერნი ესხნეს. ჭლიკნი შავნი. შეუტიეს. გაიქცა. მიჰყვნენ. ქურციკი კლდოვან ადგილას ჩაიხვეწა. მოისედეს და ნახეს სახლი ერთი ქვიტკირისა. შეეიდნენ და ნახეს: იუვნეს დაწერილნი ჯაბუკნი. ერთი დიდი ჯაბუკი იყო, ჯაჭვი ტანსა ეცვა და ხმალი ხელთა ჰქონდა და ზედან ესრეთ ეწერა (გვ. 1—3).

უნდა შევნიშნოთ, რომ თვით რუსთველსაც კარგად სცოდნია ხონელის «ამირან-დარეჯანიანი». საზოგადოდ, ეს უკვდავი ქმნილება ძრიელ გავრცელებული ყოფილა მაშინდელ დროს. ამ კითხვას ნათელს ჰფენს თვით „ქართლის ცხოვრებაც“. მასში სწერია: „თამარ მნათობისათვის თანამდებ-არს გამორჩეულ იქმნას ისეთი ქმარი, ვითარცა ხვარეშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისათვის ამირანი, ხაზართა მზისათვის მზე-ჭაბუკი[7]) („ამირან-დარეჯანიანში“ დაწვრილებით აღწერილია დაქორწინება ამირანისა და ხვარეშანისა, მზე-ჭაბუკისა და ხაზართა მზისა). ამას გარდა „ამირან-დარეჯანიანში“ ხშირად იხმარება მიმართვა: „ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე დიდებით“. იგივე ფრაზა გვხვდება ქართლის ცხ. გორგასალ გმირის ისტორიაში (იხ. გვ. 114). ხონელის გმირები იბრძვიან რკინით („და განაწონა პოლეტიკნი კინენი“), იგივე შეგვხვდება ქართლ ცხ., მგონი, მხოლოდ ერთხელ: «განაწონა კინენი» (გვ. 367). ხონელის გმირს ამბრის ჰყავს ცხენი ზერდაკი თოხარიკი, რომელიც იყიდა 3000 დრაჰკანად (გვ. 54). დავით სოსლანის ცხენსაც ჰქვიან ზერდაგი, რომელიც ეყიდა საჩინელისაგან და ფასად მიეცა ციხე და სოფელი (ქართლ. ცხ., გვ. 305). ხონელის გმირების მტრებთან ბრძოლის დროს, მოპირისპირენი გამოდიან ბანთა და შუკათა[8]) ზედა, ჰსცემენ ბუკ-დაბდაბსა და სხ. (იხ. გვ. 110 და სხ.). ქართ. ცხოვრებაში: შეიქმნა ცემა ბუკთა და დაბდაბთა... წარმოდგენ ბანთა და შუკათა ზედა (გვ. 299).

ახლა შევადაროთ „ამირან-დარეჯანიანი“ და „ვეფხის-ტყაოსანი“.

---

[7]) ქართ. ცხ., გვ. 284.

[8]) შუკა სვანურად ჰქვიან ქუჩას. შუკა ქუჩადვე განმარტებულია ქართულს ლექსიკონებში. იმერეთში, მგონი, შუკას მაგიერ ამბობენ ფშუკა. მშობლიური შუკა დაგვიფიწყნია და მის მაგიერ ვხმარობთ სპარსულს ქუჩე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

I-12768

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა აზრის მხრივ ორთავე მოთხრობანი მკაცრად გაირჩევიან ურთიერთისაგან, თუ, რასაკვირველია, არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მოსე ხონელს თვისის მოთხრობის საამბობლად გამოუყენია სავარსიმიძე, „თვით მხილველი და დამსწრე იმ ამბებისა“, რომელსაც ასწერს ავტორი (ამ გვარივე ხასიათისაა „კალმასობა“, საცა იონა ხელაშვილის პირით ბატონიშვილები იოანე და ბაგრატი მოგვითხრობენ საქართველოს ვითარებისა და კულტურის ისტორიას; ამ გვარადვე ნაამბია „ვისრამიანი“ ცა)

ვეფხის ტყაოსანი.

ნადირობის დროს როსტევან მეფე შეხვდება ჯაბუკს, ვეფხის ტყავით მოსილს. მის ამბის შესატყობად გაგზავნის კაცებს. ჯაბუკი გასწყვეტს ამ კაცებს და გადიჩქმალება. მეფე დანაღვლიანდება. გაგზავნის კაცებს მის მოსაძებნად. ავთანდილი მიაკვლევს ჯაბუკის კვალს. ავთანდილიგე შეიტყობს ჯაბუკის საყვარლის ამბავს, მის ტყვეობას. მიეღენ ავთან-

ამირან-დარეჯანიანი.

ნადირობის დროს აბესალომ მეფე შეხვდება სახლს, რომელზედაც სწერია სასელი ამირანისა. სახლის გარეშემო მინდორი მოფენილია ოქროვეტილ კაცებისა და ცხენების ლეშებით. მეფე შეიტყობს, რომ ეს კაც-ცხენები დაუხოცია გმირს ამირანს. მოისურვებს მის ამბის შეტყობას. ვერ შეიტყობს. დანაღვლიანდება. გაგზავნის კაცებს ამირანის ამბის შესატყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ, ტარიელ და ფრიდონ, გამოიხსნიან ქაჯეთს დამწყვდეულს დარეჯანს, მოვლენ არაბეთს, ავთანდილი შეირთავს თინათინს და მერე ტარიელს გაცილებს ინდოეთს.

ბად. მიაგნებენ სავარსიმიძეს, ამირანის ყმას. სავარსიმიძე უამბობს მეფეს ამირანის ისტორიას. ამირანს სწვავს ხვარეშანის სიყვარული. ხვარეშანი მადალს და მაგარს კოშკშია შემწყვდეული. ამირანი და მისნი სამნი მეგობარნი მიდიან ქალის გამოსახსნელად. მუსრს ავლებენ დევ-გმირებს, ვაჭრებს იხსნიან მეგობრეთაგან, გამოჰყავთ ქალი და მას ირთავს ამირანი.

ასეთია დედა აზრი ორთავე ამა თხუზულებათა. ახლა შევადაროთ ზოგიერთი კერძოობანიც.

გეფხის ტყაოსანი	**ამირან დარეჯანიანი**
იყო არაბეთს მეფე როსტევან	იყო ინდოეთს მეფე აბესალომ
...მორჭმული, განგებიანი,	მორჭმული, განგებიანი. (დასაწყისი)
სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზი-	მიიხმო მეფემან დიდებული და დაჯდა. მიუგზავნა ასულსა თვისსა კაცი, ვითა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცა დასთა დასული. მეფემ მოიხმნა ვაზირნი, გვერდსა დაისხნა... მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს... ღმერთმან არ მოცა ყმა შვილი. ასულო, დღეს შენ სარ მეფე არაბეთს.... დაუდგეს ტახტი ფასდაუდებელი.

შვილო, მე დავბერებულვარ და შენა სარ მკვიდრი სამეფოისა ჩემისა და არა მიკის შენგან კიდე სხვა მე... ზირ-მზე ასული მისი ვნახეთ და ესოქვეთ: თუცა არა არს ხორციელი, თუმცა მზე არსო. ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, მზე მას ვერა სჯობდა. შეუმკეს ტახტი მნათობი [9]) (გვ. 28-33)

ნადირობიდგან... მეფე შემობრუნდა, დაღრეჯილი წავიდა, აღარცა ჭკრა ასპარეზსა. ყველა-კაი მოიშალა. მეფე საწოლს შემოვიდა სუდიანი. სპასპეტი ავთანდილ მხოლოდ შეჭყვა... ქალი მოვიდა და მოახსენა: თუ ოფიცა მოუმე ხორციელი, მას ნახვიდა სხვაცა

ნადირობიდგან მეფე შემობრუნდა. უფროსსა შეჭირვებასა მიეცა. აღარცა გავიდა სანადირად ღ აღარცა გადისადა ნადიმი. შვიდა ჯაზაირ, ვეზირთა უხუცესი, და მოახსენა: გაგზავნეთ კაცნი ქალაქთა სპარსეთისათა, ნუ თუ ვინმე ყმა დარჩომიდიეოს მისი (ამირანისა)

---

[9]) ხონელი ერთ ადგილას მოგვითხრობს მნათობთა ქვეყნის ამბავს. ამ ქვეყნის მეფეს ჰყავს შვიდი ასული მნათობი. მათ შესართველად მოდიან მეფის ძენი და დიდებულნი. სამს ასულს ამ მეფისას თხოულობს თავის შვილებისათვის ამირა მუმლი ბაღდადელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინმე, გაგზავნე კაცი ოთ-
ელგან მისთა ამბავთა მტნო-
ბელი. კაცნი წავიდეს. იარეს
მათ ერთი წელიწადი.

და მით ვსცნათო. გაგზავ-
ნა კაცნი სპარსეთსა და
ოთველსა ქვეყანასა შინა.
წარმავალთა დაუვენს ყამნი
მრავალნი (გვ. 8).

ქედსა გარდადგეს. მოქარავ-
ნენი ზღვისა პირსა დაუ-
რით დგეს შეჭირვებულ-
ნი. მუნ ქარავანი ურიცხვი
იდგა ზღვისა კიდესა ..
ჴკითხა: „ვაჭარნო, ვინ
ხართ?“ უსამ იოო ქარა-
ვნისა უხუცესი. მოახსენა
ხოტბა. ჴკადრეს: „ჩამო-
ხე და მოგახსენოთ ამბავი
და საქმე ჩვენი“. გარდახ-
და. ჴკადრეს: «ჩვენ ვარ-
თო მობაღდადენი ვაჭარნი,
ზღვათა მეფისა ქალაქსა
გარდმოსაჭარნი. აქ ვპოოვეთ
ერთი კაცი, რომელმაც გვი-
თხრა, რომ ქარავანი ეგ-
ვიპტით გამოვემართენით,
ზღვასა შეეკვლეთ, მუნ მე-
კობრეთა დაგვხოცეს ძე-
ლის სასნისითა. ეს არის

ხევსა წავადექით. მას ხევსა
შიგან დგას ქარავანი ურიცხ-
ვი. მოგვეგებენ წინა ოთველ-
ნიეე და თაუვანისცეს პატ-
რონსა ჩვენსა (ამირანს).
ჴკითხა: „ძმანო, ვინ ხართ?“
ჩვენ მოქარავენი ვართ,
ბრძანეთ და გარდმოხედით
ჩვენსა ლარსა შინა და მო-
გახსენოთ ამბავნი ჩვენნი.
შეგვასხმიდიან ქებასა. გა-
ხარენს სიხარულითა დიდი-
თა. გარდავხედით კარავსა
უხუცესისა მათისა. მოქა-
რავნეთა უხუცესსა აბრამ
ერქვა. მოიხმო ამირან და-
რეჯანის ძემან და უბრძანა:
„ვინა ხარ შენ და ანუ ვი-
სი არს ესე ქარავანიო?“
ზე-ადგა აბრამ და ეგრე მო-
ახსენა: „ცხონდი უკუნისამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზი აქ დგომისა". უმამან უთხრა: „მე მიკინდრობ სისხლსა თქვენსა". მოქარავნენი აიკსნენ სიხარულითა დიდითა. შეეიდეს, ჩასხდეს ხომალდსა. მათი ბადრაგა[10]) აკოანდიდ უძღვის. გამოჩნდა ნავი მეკობრე (ბრძოლა, მეკობრეთა შემუსრვა, გასხმა ვაჭართა, ვაჭართა უფროსის ცოლისაგან დარეჯანის ამბის შეტყობა და მისი გზა-კვალის მიკვლევა).

და, ამირან დარეჯანისაგან, კითაც ჩვენი აჯა ეს არის: ბასრულნი ქარავანნი კართ (სხვა ადგილას მოხსენებულია მოქარავნენი ბადდადელნი, და სხვაგან კიდევ ნისრულნი (ეგვიპტელნი), ინდოეთიდგან კართ მომავალი ურიცხვითა ლარითა. აქა იმიტომ ვეოკვნით, რომე წინა მეკობრენი გვიმზერიან. ესე არს მიზეზი აქა დგომისა შიშითა მათითა (შემდეგ ავტორი დაწერილებით მოგვითხრობს მეკობრეებთან ბრძოლას, მათ შემუსვრას, ვაჭრების გასხმას, ვაჭართა უფროსის ჩვენებითა და მისის კაცის ეტიკობით ხვარეშანის გზა-კვალის მიკვლევას) გვ. 131—138)

გამოჩნდა ნავი მეკობრე. ნავითა მოვლენ დაშქარნი

[10]) „ამირან-დარეჯანიანში" გმირი ეუბნება მეკობრეთაგან დაშინებულ ვაჭრებს: „საბადრაგო მომეცით და თქვენსავე ქვეყანასა მშვიდობით გაგასხათო" (გვ. 173).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭკიოდეს და მოდიოდეს. შეუშინდა ქარავანი მათ ლაშქართა სიდიდესა... ჩაიხრჩენით თანა კარნი... ვეღარ გარდესწრნეს მეკობრენი. გარდუხტა მტერთა მდეწელი.. ზღვა გაიარა ავთანდილ. ჩნახეს ქალაქი, მოტუალი ესე ბალღისა ტეკრითა. მის ქვეყანასა სიტურფე რა გაიგონო შენ რითა! (იხ. დაწერილებით ვეფს.-ტყ".. გვ. 155. ოზურგეთში გამოტ.)

ურიტხენი. გეესროდეს, ეგვეზირეებდეს. მაშინ გეიუოვლა ბალრი იამანისძეანს: ჩაიმალენით ნავთა შიგანო. ჩაიმალენით. მოვიდა მეკობრეთა თავადი და ეიოდა: ვითა გარდიხვეწებითო. ეგრე მოგეეხლა. ასლტა ბალრი და მის ნავსა შიგან გარდახლტა. ჭერა ხმალი და მოკლა. სხვანი ლაშქარნი უჩინო იქმნენ. გავიარეთ იგი ზღვა და მიკედით იმიერ ზღვისა კუნძულსა, ზღვათა მეფის ქვეყანასა. და ვნახეთ ზღვისა კიდესა ოცი ათასი სოფელი და ქვეყანა მშვენიერი, რომელ არა ნახულა მსგავსი კაცისა თვალითა (გვ. 26).

თვატმანი, ვაჭართა უხუცესის ტოლი, შავგრემანი, უმეგობრდება ავთანდილს. ჩაჩნაგირი ემუქრება თვატმანს: ბოზო დიაცო, ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჭმეველად. თვატ-

ვაჭართა უფროსი ჭკითხავს: საით მიდიხარო?—სატოლისა ჩემისა ჭენთა მეფის ასულისა გამოსახსნელად მივალო.—იქ საკალი გზა საგრძნეულო არისო. ერთი შაოსანი დიაცი არის და მან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანი აკვლეკინებს ჩაჩნაგირს
და მერე უამბობს ნესტან
დარეჯანის ამბავს. ნესტანი
შეუპურიათ ქაჯებს და ტი-
ხეში დაუპატიმრებიათ. ქა-
ჯეთის მეფეს ნესტანი უკ-
ვე დაუწინდავს სატოლად
როსან უმისად. თვატმანი ში-
კრიკის ხელით მიაწვდის წე-
რილს ნესტანს და სთხოვს
მანდაური ამბავი შეგვატყობ-
ინოთ, შენ გამოსახსნელად
მოუმენი მოვიდნენო. ნეს-
ტანი ატყობინებს. ავთან-
დილ, ტარიელ და თრიდონ
მიდიან ჯარით, ულეტავენ
კოშკის მცველებს, გამოჰ-
ყავთ ნესტან-დარეჯანი, და
არ იზარებენ შორეული გზა
გაიარონ, რათა ზღვათა სამე-
ფოში მივიდნენ რომ მადლო-
ბა უთხრან თვატმანს. თვატმანი
გადაჭკოტნის ნესტანს. ტა-
რიელი მადლობას მოახსე-
ნებს, ქაჯთა ტიხეს უბო-
ძებს ზღვათა მეფეს. მეფე
დაუმადლებს და მიუძღვნის
იტის ყველა მის გზისა მმ-
ბავიო და იგი გითხრობსო.
მოქარავანი შინ წავიდნენ.
გავგზავნეთ შიკრიკი ჭენ-
თა მეფისა ასულისა თანა.
სეფე დავლემ შოასან და-
ასცა გზის ჩვენება სთხო-
ვა. შოასანმა მოახსენა: ჯავ-
რი ამომიყარე რაზიმან დე-
კისა, რომელმაც შვილები და-
მიტყვევა. დეკმა დაასცა უთხ-
რა: „როსკიპო“! ჯ შემოუ-
ტიეა სეფე დავლს, რომელმაც
დეკი მოკლა. დაასცა უთხრა:
ჭენთა მეფის ასული შთა-
კეტილია მადლს კოშკში ჯ
კართა ზედან ხუთასი რჩე-
ული არაბი უყენიაო. წა-
ვიდნენ. შავიდნენ ჭენთა მე-
ფის ქალაქში, რომლის
შუაგულს კოშკი იყო და
მასში იჯდა მეფის ასული.
მოიკვლიეს ტახეში შესასვ-
ლელი გზა. მეფის ასულმა
ზემოთ ხსენებულ შიკრიკის
პირით შემოუთვალა: ხვალ
არაბთა მეფის შვილზედ მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლარს, გვირგვინს, ოქროს
ტასტს და გაცილებს.

თხოვებენო. სეფე დვალმ
ანნობა: მზად იყავი ჯ ამა-
ღამვე გამოგიყვანთო. ღა-
მე მიუხდა მეტოქე სასიძოს,
შემუსრა მისი ლაშქარი. ქა-
ლი გამოიყვანა, და წავიდ-
ნენ. ჭენთა მეფე გამოეკიდა
მათ. იბრძოლეს მრავალი.
ჭენთა მეფემ უთხრა რუსებს
(რუსებ შეადარე რუსთ-
კელის რუსანს): თუცა სეფე
დვალს აჯობო, იგი ბირძ-
ზე ასული ჩემი მოგტეო ტო-
ლად შენდაო. შეიბნენ. სე-
ფე დვალმ მოკლა. ჭენთა
მეფე შეურიგდა სეფე დვალს,
იშვილა — ისიძეკვ. სეფე
დვალი წავიდა ცოლითა
და მეგობრებით და, თუმ-
ცა მოკლე გზა ჭქონდათ,
მაგრამ შორეული არჩიეს,
რათა მადლობა გადაესადნათ
შოსან დიაცისათვის. შო-
სანი დიდის სიხარულით გა-
მოეგება, უძღვნა მრავალი:
მარგალიტი, გვირგვინი,
ფარღულნი და სხ. სეფე
დვალიმ იგი დედობილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაისკვა. სიმღერით დაჭერილი ქვეყანა მას და მის შვილებს მისცა. და წავიდნენ.

ვიკმაროთ შედარება ამ ორთავ უკვდავ თხზულებათა. მათი მსგავსება ანუ განსხვავება უფრო ნათლად გამოჩნდება „ამირან-დარეჯანიანის“ დაბეჭდვისა ჯ მისის ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ. ვინ იცის „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ დაკვე რუსთველმან და გავლექსე“ იმას მოასწავებდეს, რომ მოსე ხონელის მიერ „ნასიტყვნი ამბავნი“ (პროზა) შეიქმნენ ‹აწ მარგალიტი წყობილი› (პოემა). ხოლო აქვე კიდევ დავურთავ ორიოდ შედარებას.

რუსთველი	**შავთელი**
კინმცა ჴქმნა რიცხვი ოქროსა,	კინმცა იწყოს რიცხვი, იქმნას
კერკისგან დანათვალისა,	ურიცხვი გოარი მათგან დანათვალისა,
მუნ იდვა რიუე თვალისა	რიუე თვალისა, წინ ნათალისა.
სულწმინდათ განთალისა;	ჴსჩანს მარგალიტი . . .
ჩნდის მარგალიტი ოდენი	**ოდენ**
ბურთისა საბურთალისა.	**ბურთისა საბურთალისა.**
ჴპოვეს ერთი ზარადსანი (?)	აქვს ზარდახჩანი, ლუსკუ-
აბჯრისათვის ასლად ქმნილი,	მებრ მათთვის დასაკრძალი-
მუნ აბჯარი, ყოველ თერი,	თა. იუკის ჯურჯელთა, სხვათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასრე იდგა, ვითა მწნილი. (ტარიელის სასახლე. გვ. 200)

უცხო ფერთა, სიმრავლით დება ურიცხვისა (თამარის სასახლე. გვ. 52 იხ. ჩუბინაშვილის ქრისტომ.)

«ავთანდილი» (ს ახალ. ლეგენდა).

ავთანდილ გადინადირა ქედი
მაღალი ტყეანი... ნახტომსა
მშველსა ისარი ჰკრა...მუხისა
ძირსა ჩამოხდა, ტევნი
დაანთო ძლიერი.
სანამ მწვადი შეიწოდა
ცხენსა მისცა საძოვარი.

რუსთველი.

მთით ჩამოვიდა ავთანდილ,
გავლო წყალი და ტყენია.
ისრითა მოკლა ნადირი.
შამბისა ძირსა გარდახდა,
ტევნი დაგზო კვესითა.
ცხესა მისცა საძოვარი,
ვინემ მწვადი შეიწოდეს.

ახლა ვნახოთ, არის თუ არა „ამირან-დარეჯანიანში“ კვალი ქრისტიანობისა. ზევითაც ვსთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ერთის მეცნიერის აზრით ამ თხზულებაში არავითარი კვალი არ არის ქრისტიანობისა, და მისივე აზრით „სიტყვა ამინ თხრობის ბოლოში, ალბად, ჩაკერებულია შემდეგი დროის გადამწერისაგან“.

სიტყვა ამინ „ამირან-დარეჯანიანში“ შეგვხდება არა მარტო ბოლოში, არამედ შიგაც, რამდენიმეჯერ. „ამირან-დარეჯანიანი“, ჩვენის აზრით, არის ნამდვილი საქრისტიანო თხზულება და ამ მხრივ იგი აჭარბებს თვით მაშინდელ დროის „ვეფხის-ტყაოსანსაც“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩახრუხაძის „შესხმასაც“. ჩვენი ავტორი ისე ვერ წარმოსთქვამს ფრაზას ან დიალოგს, რომ შიგ არ ჩაიტანოს სიტყვა „ღმერთო“.

ა) გამო ღმერთო გცდის, თუ რაძნი ჭაბუკნი იყვნესო[11]) (გვ. 237)

ბ) დია ღმერთო, უმალე მოკლაო[12]) (გვ. 67)

გ) ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა (გვ. 12).

დ) ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე. ადიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი და არცხვინოს ორგულნი თქვენნი (ეს ფრაზა წიგნში გამეორებულია მრავალჯერ).

ე) დაუსრულებელმცა ჰყვნეს უფალმან დიდება სუფევისა თქვენისა აწ და უკუნისამდე ამინ (გვ. 39)

ვ) ნუმცა დასრულდების სუფევა მეფობისა თქვენისა აწ და უკუნისამდე. ამინ (გვ. 297) და სხ.

ზევით დავინახეთ, რომ «ამირან-დარეჯანიანი» დიდი კავშირი აქვს სახალხო ლეგენდასთან „ამირანი“. ხოლო ამ ლეგენდაში ნათქვამია, რომ ამირანის ნათლია იყო ქრისტეო. ამას გარდა, იმავე ლეგენდის მოწმობით, ამირანი ასრე ემუქრება ბაყბაყს: „ბაყალყანო, შენ ქრისტიანს არავინ შეგაჭმევს („ივერია“ 1889 წ., № 240). სვანურის ლეგენდით ამირანი იმიტომ დაისაჯა, რომ დაარღვია ქრისტეს

---

[11]) ღმერთო, გამოგცდის, თუ როგორნი ჭაბუკნი იყვნენო.

[12]) შეადარე: „დია, ღმერთო, ბრძანება ვქმნა მეცა თქვენი“ (ვეფ. ტყ. გვ. 63)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელით დიდებული ფიცი („ივერია“, 1887, № 212). სახელითა ქრისტესითა ამირანი დაეძმობილა ანდრერობს (იქვე). მიმსჭვალული ამირანი დაინახა მწყემსმა. შეეშინდა. ამირანმა უთხრა: ნუ გეშინიან, მე ქრისტიანი ვარო („ივერია“ 1887, № 145)

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მოსე ხონელის გმირებიცა და სახალხო ლეგენდისაც ერთნაირად ფიცულობენ სახელითა ქრისტესითა, და სახელითა ღვთისა ცხოველისა, რომელმაც მხოლოდ, როგორც ვიცით, მისცა ქვეყნიერებას სასოება დაუსრულებელის სუფევისა, სუფევისა აწ და უკუნისამდე.

რომ „ამირან-დარეჯანიანში“ გამოხატულია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა სარკინოზებ-სპარსებთან და შემდეგ თურქებთან, ეს მტკიცდება მით, რომ მოსე ხონელს დაუსახელებია ისტორიულნი პირნი, ვითარცა ამირა მუმლი ბალდადელი, აბულკასიმ აბულკასიმისძე, აბუბაქარი და სხ.

ვახუშტი სწერს: „გამოჩინებულიყო სარკინოზთა მოძღვარი მაჰმად და დაეპყრა ყოველი არაბეთი და იამანეთი (ხონელი იხსენიებს იამანებს და იამანთა გმირებს. სახალხო ლეგენდით ბადრი და ესიბ იყვნენ იამან *) მეფის ძენი. ამავე მეფემ იშვილა ამი-

*) იამანისაგან წარმომდგარა ქართული გვარი იამანიძე. წარჩინებულ აკაკის წერილში „მცირე რამ“ ვკითხულობთ: „იამანიძეები დღეს ერისთავები აღარ არიანო“ („კვალი“, № 22, 1895 წ.). ვახუშტის თქმით საქართველოში იპოება იამანის ქვა (იხ. „ქართლი“, გვ. 78).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რან დარეჯანისძე). ხალიფა აბუბექირ (ხონელს აბუბაქარ?) შევიდა ბაღდადს და დაატოვებინა სპარსთა ცეცხლის მსახურება. შემდგომად მოვიდა მურვანყრუ აბულკასიმ (731 წელს) და დაიპყრა კავკასია. შემდეგ მოვიდა აბულკასიმ აბულსაჭის ძე (მე X საუკ. დასაწყისს).

წმ. ანოს ცხოვრებაში სწერია, რომ ქართლის ერისთავი ნერსე ადარნასეს ძე ამირა მუმლის ბაღდადელის ბრძანებით შეიპყრეს სარკინოზებმა და წაიყვანეს ბაღდადსო. იგი იქიდგან რომ დაბრუნდა, თან წამოიყვანა ჭაბუკი სარკინოზი აბო (იგივე აბრამ.) ეს აბო მოინათლა. იგი აწამეს სარკინოზებმა 786 წელს).

წმ. ნეოფიტეს ცხოვრებაში სწერია, რომ სარკინოზმა აჰმად, ნათესავმა ამირა მუმლისამ, რომელსაც ეპყრა არაბეთი, სირი (?) და მიდია, წარმოგზავნა ლაშქარი საქართველოს. ამ ლაშქრის მოთავენი იყვნენ ომარ და ბურულ. ომარი რომ მივიდა შიო მღვიმის ასაკლებად და ნახა ამ დიდებულ მონასტრის მამების ცხოვრება, განცვიფრდა ფრიად, მოინათლა და ეწოდა ნეფოიტე [13]). შემდეგში იგი ღირს იქმნა საეპისკოპო ხარისხისა და მიეცა ურბნისის კათედრა.. იგი აწამეს სარკინოზებმა და მოჰკლეს.

ამნაირადვე სარკინოზთა მახვილმა გაჰგმირა არჩილ მეფე (†718 წ.), გობრონი (მე X საუკ. დასაწყისს), გმირნი დავით და კოსტანტინე და სხ.

---

[13]) ნეოფიტე ბერძნული სიტყვაა და ითარგმნება ახალნერგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლურ ლეგენდით „ამირანის“ მამას ერქვა სულკალმახი, მოსე ხონელი კი არ იხსენიებს ამირანის მამის სახელს და მას სთვლის მხოლოდ დარეჯანის ძედ. სვანურის ლეგენდით ამირანის დედის დალიას ქმარი იყო დარჩელიანი («სამზრუნველოს» კრებული № X, გვ. 6). ცხადია, რომ აქ არეულია რაღაც ისტორიული ამბავი და, შესაძლებელია, ამ ამბავს რაოდენათმე ნათელს ჰფენდეს შემდეგი ცნობა შესახებ დარჩილისა და კალმახისა.

წმ. არჩილ მეფის დროს, როდესაც სარკინოზნი მოსვენებას აღარ აძლევდნენ ქვეყანას, კლარჯეთის დიდ-კაკობის ერთი ნახევარი გამაგრდა ტაოში და შეუალს კლდეში ააშენა სახელგანთქმული ციხე „კალმახი“. შემდეგში აქ მოღვაწეობდა დიდებული მეფე საქართველოისა დავით კურატპალატი, რომლის შვილობილმა ბაგრატ შემუსრა მტერნი, შეაერთა საქართველო და დაიპყრა მთელი კავკასია. ამავე კალმახში მოღვაწეობდა გმირი სულა კალმახელი (შეადარე ლეგენდის სულკალმახს).

მურვან ყრუს ანუ აბულკასიმის შემოსევის დროს ანაკოფიაში გამაგრდნენ ძმანი არჩილ და დარჩილ. ესენი სასტიკად შეებნენ მტერს. არჩილი მოკლულ იქმნა, ხოლო დარჩილი გამაგრდა იმავე ციხეში (მამათ ცხ., გვ. 328). ყველა ამ გმირების ამბავი ჩვენს მატიანეს თითო-ოროლა სიტყვით აღუნიშნავს, ეჭვი არ არის, რომ ძველ დროს გმირების თავგადასავალს ერის თქმულობა შეამკობდა ბრწყინვალე შარავანდედით. ხოლო ამ თქმულობას, რადგან არ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწერილი, შემდეგი თაობა აურევდა და აი ამ არევ-დარევისაგან, როგორც საფიქრებელია, წარმოსდგა ის, რომ ამირანის სახელს მიეწება ღვაწლი სხვა და სხვა გმირთა, სხვა და სხვა მამულისშვილთა, ზოგი ამათგანი ხალხმა დასახა ამირანის მამად, ვითარცა სულა კალმახელი ანუ გმირნი კალმახისანი, ზოგი ძმად, ვითარცა ბადრი და უსიპი, ზოგი მამობილად, ვითარცა მეფე იამანთა (ალბად მოკავშირე ქართველთა) და სხ.

ვიმეორებ, „ამირან-დარეჯანიანში“, ჩვენის აზრით, ძველის ლეგენდის ამირან-პრომეთეოსის კალაპოტზე უნდა იყოს გამოჭრილი საქრისტიანო ხანა საქართველოს ისტორიისა. აქვე მოვიყვან ზოგიერთ შედარებითს მაგალითებს ამ აზრის საფუძვლად.

ა) ამირანს ნათლიად გაუხდა ქრისტე (ლეგენდით).

ა) მირიან მეფე (საქართველო) გაქრისტიანდა და ნათელ იღო ქრისტეს მიერ.

ბ) ქვითკირის სახლის (საყდრის?) ზღუდის კართა ეწერნეს ამირან დარეჯანისძე ცხენსა ზედან მჯდომარე. ნიშანი მისი მრავალ არს ქვეყანასა ამას შინა („ამირან-დარეჯანიანი“)

ბ) ნინომ ურჩია მირიან მეფეს და ანდერძად დაუტოვა ქართველებს აეგოთ ტაძარნი წმ. გიორგის სახელობაზედ. ეს გიორგი იყო ნინოს ნათესავი და განთქმული მხედარი და გმირი. ქართველებმა მის სახელობაზე ააგეს 365 ტაძარი და ამ საყდრებზედ გამოსახეს წმ. გიორგი ცხენსა ზედან მჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) „შეეედით მეფის წალკოტსა შიგან. ხენი ვნახეთ. ერთი ხე შვენიერი, გარეშემოზღუდვილი, და ამას იტყოდეს, ვითა ზეთი გამოვალს მათ ხეთაგან ასეთი, რომელ სნეულსა შეასვან, გამთელდების, თუმცა ბრმათა თვალთა უწვეთონ, აღეხილების, და ყოველსა სენსა ჰკურნებსო. და არა ითქმის სიკეთე მის წალკოტისა კაცისა ენისაგან“ (ეს წალკოტი იყო მეფის სატახტო ქალაქში) („ამირ-დარეჯ.“ გვ. 165).

გ) ამას შეადარეთ აღწერილობა მირიანის წალკოტისა მცხეთას და ხე იგი, რომელი იდგა წალკოტსა ამას შიგან, რომელსაც გამოსდიოდა სამკურნალო მირონი და რომლისაგან შეჰქმნეს ცხოველს მყოფელნი ჯვარნი.

თვით სიტყვა „ამირანი“, ჩვენის ფიქრით, უნდა აღნიშნავდეს ზოგადს სახელს ყოველის გმირისას და ეს სახელი უნდა იყოს გავრცელებული მხოლოდ ქრისტიანობის დროიდგან. თუმცა სახელები ჩვენის მეფეებისა მირვანისა, რომელსაც აგრეთვე ერქვა მიჰრანი, მირისა და თვით სიტყვა გმირი რაოდენათმე ემსგავსებიან სიტყვას «ამირანი“, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ეს „ამირანი“ უნდა იყოს მრავლობითი რიცხვი სიტყვიდგან ამირა (ამირა, მფლობელი, ამირანი, მფლობელნი).

მოსალოდნელია, რომ ქრისტიანობის მიღებამდე ქართული სახელი «ამირანისა» იყო სხვა, მაგალ. ბრუთი (ბრუთ-საბძელი [14]) ანუ იმავე „პრომეთეო-

---

[14]) ბრუთ საბძელი მთაა ქართლში. მისი საღმრთო მნიშვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის* მიმსგავსებული წოდება. მოსალოდნელია ისიც, რომ წარმართულ დროინდელ პრომეთეოსისა და საქრისტიანო დროის ამირანის მიმსჭვალას კავკასიონზე ჰქონდეს უახლოესი კავშირი და ორთავე ამ ლეგენდებით იგავ-ალეგორიულად გამოთქმულ-იყოს სვე-ბედი ქართველის ერისა. ჩვენ ვიცით, რომ უუძველესს დროს ქართველი ერი მოსახლეობდა კასპიისა და შავი ზღვის შორის და, როგორც ამტკიცებენ, ეჭირა ფართო და ვრცელი მინდვრები მცირე აზიასა და არარატ-ვანის ხეობაში. ეს ვრცელი სამფლობელო ჩვენის ერისა, დროთა-ვითარების გამო, თან დ თან შეიზღუდა, შეიკვეცა და აუარებელ მტრებმა ქართველნი ნელ-ნელა შერეკეს კავკასიონის მთა-ღელლეებში და შემოზღუდეს თრიალეთ-არტან-ტაოს მთებით. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ქართველი ერი მტრებმა მიაბეს და მიაკრეს კავკასიონს, მისჭვალეს მასზედ. ცეცხლის მოტაცება ღმერთებისაგან და მის-

---

ნელობა დღესაც საიდუმლოებით მოცულია. იქვე არის როკა. იმერეთში, ხანის წყალზე, არის როკითი, და იქვე მთის მწვერვალზე მიმსჭვალულ გმირს უწოდებენ როკაპს. ქართლში ხმელ-ხმელ სა დ მაღალ-მაღალ დედაკაცს როკაპობით იხსენიებენ. ამ როკასა დ როკაპს შეადარე წარმართულ დროინდელ მეფეთა სახელები: როკ I (იგივე ადერკი), დე-როკ, როკ II. სიტყვაში როკაპი „პი“, ალბად, იმავე მნიშვნელობით იხმარება, რა მნიშვნელობითაც სახელში ამზას-პი (მზის-პირი? მზე=მეგრ. ბჟა=სვან. მიჟ=ლაზურ. მჟორა, და ამიტომაც, ალბად, ხან იწერება ამაზასპი, ხან ამზასპი, ხოლო სხვა მეფე იხსენიება ამაზაერად (ბზიერი?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო პრომეთეოსის დასჯა, ალბად, იმას მოასწავებს, რომ ამ პრომეთეოს-ამირანმა უწინარეს ყოველთა ისწავლა მჭედლობა, ოქრო-ვერცხლ-სძილენძ-ფოლადის შემუშავება და შემდეგში ხომ იგივე ცეცხლი — არმაზი (არი-მზე?) გაალმერთა. ჲ, მართლაც, ისტორიაც გადმოგვცემს, რომ უუძველესმა ხალხებმა — ფინიკელებმა, ეგვიპტელებმა და ბერძნებმა პირველად აქ, ამ ამირანის სამშობლოში, გაიცნეს მჭედლობა, ლითონის დნობა. აკი ამიტომაც შურით აღივსნენ მრავალნი ერნი და აღბორგებულნი წამოვიდნენ, რომ წარიტაცონ აქაური ოქროს-მატყლოსანი ვერძი, გაზიდონ აქაური ლითონი და სიმდიდრენი. აი ამ მტერთა მოსევისაგამო ქართველი ერი შეიჭყლიმებოდა კავკასიონში.

ამნაირადვე ქრისტიანმა ამირანმაც აგრეთვე მოსტაცა ცეცხლი არმაზ ღმერთს და ცეცხლის მაგიერ სარწმუნოების სიმბოლოდ დაისახა ჯვარი და იგი ჯვარი მიმსჭვალა კავკასიონზე. სახალხო ლეგენდით ამირანი ქრისტემ მიაკრა თავის ძელზედ [15]) ანუ ჯოხ-

---

[15]) ვინ იცის, თვით სიტყვას ბ რ უ თ-ს ა ბ ძ ე ლ ს ჰქონდეს რაიმე კავშირი სიტყვასთან ძელი და ბრუთ-საბძელო, ბრუთის სამსჭვალო და საბმელო შემდეგ გადაქმნილიყოს ბრუთ-საბძელად. და შეიძლება ისიც, რომ სტრაბონის-მიერ მოხსენებული ქართველების დიდი სალოცავი „ფრიქსაბა“, მდებარე ივერიისა და კოლხიდის მიჯნის მთაზედ, „ვერძის-შუბლს“ კი არ აღნიშნავდეს, როგორც სტრაბონი ამბობს, არამედ „ბრუთ-საბამს“ („ფრიქსაბა“ იხ. განის წიგნში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ, ეს ძელი დაარჭო მიწაში და მას უბრძანა გაიდგა ისეთი ფესვები, რომ მთელს ქვეყანას სარტყელივით ირგვლივ მოსდებოდა, ხოლო ძელის წვერი ცამდის აწვდილიყო (ივერია, 1889 წ.; № 245). ეს ჯოხი, რასაკვირველია, არის ქრისტეს ჯვარი, რომელსაც ქართველები ეძახიან „ძელი-ცხოველს“ და რომელმაც, მართლაც, გაიდგა უშველებელნი ფესვნი და ეს ფესვნი მოედვნენ მთელს ქვეყნიერობას, ე. ი. მთელი მსოფლიო შეიქმნა ძელის მადიდებელად. მიემსჭვალა-რა ქრისტიანი ამირანი (საქართველო) ქრისტეს ჯვარზედ, ცხოველ-მყოფელ ძელზედ, იგი აღარ გადრკა და თავი დასდო ამ ჯვრის დასაცველად. მის შემდეგ მოდიან არწივნი ამირანის გულ-ღვიძლის საჭათრავად, მოდიან არაბნი, სპარსნი და თურქნი მის შესამუსრავად, მაგრამ ამაოა მათი ცდა: ამირანს ფეხს ვერ აცვლევინებენ კავკასიონიდამ, ვერ აშორებენ ხსენებულს ძელს [16]) და არა თუ ვერ აშორებენ, პირიქით ძელზედ მიმსჭვალული და აუარებელ მტერთაგან შევიწროებული ამირანი იმედს არ ჰკარგავს, რომ ბოლოს მას ისევ «მიეცემა შეძლება ძველანდებულად შეესიოს მტრებს და შემუსროს იგინი» (იხ. იგივე №-რი).

მართლაცა და, როგორც მოსე ხონელის გმი-

---

[16]) მურვან-ყრუს მოახსენეს: შენნი ლაშქარნი მოსრნეს შ ე შ ი ს მსახურთა ქართველთაო (ქართ. ცხ., გვ. 173). შეშად ძელი იგულისხმება, ქართველების სალოცავი ძელი-ცხოველი (ჯვარი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა, ისრე სახალხო ლეგენდის «ამირანის» საასპარეზო არის კავკასია. ამირანი და მისნი მეგობარნი მოქმედობენ მეზობლად მდებარე სახელმწიფოებში: არაბეთს (საქართველო?), დიდოეთს, ხაზარეთს, ქაჯეთს, ზღვათა სამეფოს, ჭენთა სამეფოს და იამანეთს. სახალხო ლეგენდით ამირანი თანამედროვეა ძმათა მხარგრძელთა.

ცხრათა ფრონველთა მხარგრძელთა
ალგეთის ჭალა გაქვნა..
უძმოსა, უმამისძმოსა
ამირანს თავი მოეკვლა („ივერია", 1889 წ. №224)

ქაჯეთს იხსენიებს რუსთველიც. ქართლის ცხოვრების ქაჯეთის-ციხე არის სამცხეში. თავდაპირველად მას ერქვა ჭური, შემდეგ საქართველოს გაერთიანებამდე იწოდებოდა ქაჯთა ციხედ და მერე წუნად (იგივ წუნდა), რომელიც ძველადგანვე იყო ცალკე საერისთაო. ამ საერისთაოს მკვიდრთ ერქვათ ქაჯნი. თვით რუსთველიც გვეუბნება ქაჯების შესახებ:

სრ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.
ქაჯნი სახელად მით ჭქვიან, სრიან ერთად კრებულნი,
ოოველთა კაცთა მაგნებნი, იგი ვერ ვისგან ვნებულნი.[17])
საზარეთი. ოსურად „ხაზარ" აღნიშნავს სახლს.

---

[17]) ძალიან შესაძლებელია რომ კლარჯი შემოკლებულ იყვეს ქაჯად და კლარჯეთი ქაჯეთად. შესაძლებელია ისიც, რომ პომპონი მელას (15-60 წ. ქრ. შ.) თქმა „კასპიის ტბის ზედეთ სცხოვრობენ ქაჯნი (каджіи), ჰირკანნი და იბერნი" (Ганъ, გვ. 97) გვიჩვენებდეს იმავე ჩვენს ქაჯებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე ხაზარეთი არის ქვეყანა ბინადარ ხალხისა *). მოსე ხონელი ხშირად იხსენიებს ბალათარს, ხაზარანს და სხ., რომელნიც ებრძვიან ამირანს, მაგრამ ეს უკანსკნელი იმარჯვებს და იპყრობს მათს ციხე-კოშკებს. ბაყათარ გმირი, ოსთა მეფე, ქართლის ცხოვრებით, ებრძვის ვახტანგ გორგასალს. ბალათარივე გვხვდება პოემაში „ალლუზიანი“ **. ამ ალლუზიანში მოთხრობილია ფრიად საყურადღებო ამბები შესახებ ჩრდილოეთ კავკასიის სამეფოისა. ამ სამეფოის დამაარსებელი ყოფილა ალლუზონი, შთამომავალი ბაგრატოვანებისა („იესოვან-დავითიან გვართაგან სოლომონ ბრძნულნი“, „ალლუზიანი“, გვ. 5). „ალლუზონ იყო პირმშო შვილი მეფისა. იგი მამას შემოსწყრა, გადმოიარა დიდ მთანი“ (გვ. 6). მამამ მემკვიდრეობა ტახტისა დაუმტკიცა უმცროს შვილს (გვ. 6). ალლუზონმა დაიპყრა ჩერქეზეთი, ჩაჩანი და კალმუხი (კალმიკნი?). ეს კალმუხნი იწოდებოდნენ აგრეთვე ნონებად (ალბად ჰონნი ანუ გუნნი და ალანნი). ამ ლაშქრობაში მას შველოდნენ პონ, ბიბორ, ულდან, საყურ. ალლუზმა ***) მოჰკლა ნონთა მეფე ამახუნი, ჩაჩანთ მეფე კაირან (იგივე კაინა ანუ კაირ-

---

*) ხაზარეთში რომ ოსები ყოფილან, ამას ატკიცებს გუოტრიც (იხ. „ივერია“, 1877 წ. № 13).

**) ალლუზიანი, გამოც. ნ. გამრეკელისა. ტფილისი 1885 წელს.

***) ცნობილი ოსთა გვარი იაღლუზიძე, ალბად, შთამომავალია ამ ალლუზისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან). კაირხანის გვამი მიუტანეს მის ცოლს, ჩაჩანთ დედოფალს მარი ხათუნს *). მოგროვდნენ ჩაჩანნი და ასრე დაიტირეს თვისი მეფე: „აღდეგი, ძილი გეყოფა, როდის ხარ ჩვეული მისა... დაგვიბნელდა დღე მნათობი... გმირ მეფეს რისთვის შეებიო“ და სხ. (გვ. 23). იმავე ალღუზონს ეწვევა ასლან გამრეკელი. ამ გამრეკელის დაწყობილობით მოკლულ იქმნა ალღუზონი, რომელსაც მემკვიდრედ დაშთა 14 წლის ვაჟი ჭარხილანი. ალღუზონის საფლავის ძეგლზედ დააწერეს:

„თუ მიკითხამ, მოგახსენებთ: მეფე ვარ ამოსარის **), მპყრობელი დიდთა ქყეყანათ, ძირი დავით მეფის გვარის, მპყრობელი მილანქრის, ბატონი დიდ ოვსთ, ჩერქესთ, ჩეჩენ, ქისტეთ, ნონთა კარის, პატრონი მთისა და ბარის, იალბუზის, კავკასის და მხარეთა მისთა გარის, მართლ-მორწმუნე ქრისტიანი, მხარ-გრძელი და მკლავ-მაგარი მეფე“ (გვ. 55). იგივე, ცოტა განსხვავებით, გალექსილია ამნაირად:

---

*) არმაზის ტაძრის ეკვეტერის ქვაზედ სწერია: „მე, უნდოი დედაკაცი, ხათუნ, ყოფილი მარიამ, დედაჲ საბალთისი ძმისწული სულდანისი, რომელი ღირს ვიქმენ, წმიდისა ღუთივ წარმართებულისა კათოლიკე ეკკლესიისა, სულისა შევედრებად“... ვინ იცის, აქ საბალთის (ვსეველოდის) დედა კი არ იგულისხმება, როგორც ჩვენ ვფიქრობდით (იხ. „Кавказъ“, 1892 წ. № 122), არამედ ეს მარი ხათუნი, მეუღლე კაირან მეფისა.

**) ოსების ამოსარი, ალბად, უდრის ქართველების აფსარს, ვინაიდგან ვიდრე დიმიტრი გაბატონდებოდა ოსეთს, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიუაკით ცხრანი ძმანი ჩარჯოხიძე-ჭარხალაძენ:
ოს ბალდითარ, დავით-სოსლან ოთს სამეფოთ მებრძოლანი;
ფალარონ, ჯადარონ *), სიუურ და გიორგი მტერთა
რისხვით შემხედვარნი;
ჩვენნი ძმანი, სამნი ბერნი: ისაკ, რომანოზ და ბასილ
იქმნენ ქრისტეს კარგნი უმანი.
ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა-მომავალთა ოთხის კუთხის ვიწ-
რო გზანი;
კასარზედ სიმაგრე მაქვს ჯ სიბაკო, აქ მიჭირავს კიდის კარი;
სიაქიოს მოიმედე, სააქოს კარგა მდგარი;
ოქროსა და ვერცხლის მიწა ამდენი მაქვს, ვითა წყალი.
კაკაბიონი დავიპყარ, ოთხს სამეფოს გაუმეფავდი;
ქართველს ბატონს და მოსტატე, არ დავაგდე ჩემი გვარი.
მამწვდა, ფიცით მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბალდითარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი. **)
ვინცა ეს ლექსი იხილოთ, მტირეთ ბრძანეთ შენდობანი.

მთავროობდა აფხაზეთში. ამოსარისა და აფსარის ერთ და იგივეობა მით უფრო მოსალოდნელია, რომ „ალღუზიანის“ თქმით ასლან გამრეკელი ყოფილა ამოსართა ქვეყნიდამ. შემდეგ იგი შეუსმენიათ და მეფეს განუზრახავს მისი მოკვლა, ხოლო გამრეკელი გაქცეულა, გაუვლია „კარნი მთისანი“ და მისულა ალღუზონის სამეფოში. ამოსარს მყოფობის დროს გამრეკელი ყოფილა მთავარი ქალაქის გორანდისა. ეს გორანდა, შეიძლება, ყოფილიყო აწინდელი გურიანთა (ოზურგეთის მაზრაში).

*) ოსთა მეფეების ბაგრატოვანების გენეალოგიაში მოხსენებულნია: გიორგი I (საქართველოს მეფე), დიმიტრი (ოსეთის მეფე), დავით, ათონ, ჯადარონ, დავით სოსლან (თამარ მეფის ქმარი).

**) იხ. ვახუშტის ისტორია, ხელნაწერი თ. ვასილ მაყაშვილისა (იყალთოს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალღუზიანის“ ავტორის შესახებ იმის მეტი ცნობა არა გვაქვს, რაც სწერია ამავე პოემის მე-4 გვერდზე: „ეს სწერა პირმშო მის (ბალათარის) ძემან, სოსლან აცდუნა სხვა მთქმელნი“. საზოგადოდ ალღუზიანის ავტორიცა და მოსე ხონელიც მშვენიერად იცნობენ მთას, მთის ქვეყნებს და მათს მოთხრობაში საერთოც მცირე არ არის; თუნდა ავიღოთ მაგალ. ის გარემოება, რომ ზემორე მოღებულ ლექსშიაცა „ალღუზიანშიაც“, ვითარცა მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანში, წარმოდგენილია მრავალ საუკუნოვანი ისტორია ოსეთისა ვახტანგ გორგასალს აქეთ, იმ ვახტანგსა, რომელსაც ოს-ბაყათარმა მოსტაცა და. საკვირველი ის არის, რომ „ალღუზიანშიაც“ ისევ ქაჯნი გვხვდებიან: „გვამნი იყვნენ ქაჯეულნი, სულითა ეშმაკისანნი, საგვემლად არ-რა მიუდგათ, კერპნი იყვნენ ომისანნი“... (გვ. 13).

ჭენთა სამეფოდ ავტორი, ალბად, იგულისხმებს ორბელიანთა სამთავროს. ეს ორბელიანნი ანუ ჭენნი მოვიდნენ საქართველოში სწორედ იმ დროს, რა დროიდგანაც ხონელი უმთავრესად იწყობს თვის მოთხრობას, ე. ი. 768 წელს ქრ. შემდეგ [18]). რადგანაც ეს ორბელიანნი „ინდოელნი“ იყვნენ, ამიტომაც, ჩვენის აზრით, ავტორი და თვით რუსთველიც ზოგიერთ ქართველ გმირებს უწოდებენ ინდოელებად. მაგალ. ხონელის ინდო ჭაბუკი და რუსთველის ტარიელი, არიან ქართველნი. თვით რუსთველიც ტარიელს ხშირად ინდოდ იხსენიებს („ავთანდილს ინდო

[18]) იხ. „ორბელიანთ გუჯარი“, თაყაიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყვის“, გვ. 202). ხონელის ერთ გმირს ჰქვიან აბაა აბაში. ორბელიანთ წინაპარს, რომელიც საქართველოში შემოვიდა, ერქვა ბირიან აბაში. შემდეგ ამ აბაშთაგან წარმოსდგნენ აბაშიშვილები, გუგუნავანი და ორბელიანნი. ბირიან აბაშს მეფემ მისცა დიდი სამთავრო, რომელსაც განაგებდნენ 7 ხევისთავნი. ბაგრატ IV დროს ლიპარიტ ორბელიანს თითქმის სამეფოს ნახევარი ეჭირა. სახელი იბად რომ ქართულია, ეს მტკიცდება მით, რომ ფილოსოფოსის არსენის მამა იყო იბად ვაჩნაძე (Addit. et éclairc., გვ. 205)

არაბეთის (საქართველოს?) ვითარებას ასრე აგვიწერს ხონელი: „არაბეთსა შიგან ორნი მეფენი იყვნეს, ტომნი ერთმანეთისანი, და მტერობდეს ერთი მეორესა, და იყვის ყოველთა დღეთა და ყოველთა ჟამთა ომი საშინელი, რომე არა გაიგონების კაცისაგან ბრძოლა უმეტესი. იცით თქვენცა, არა არიან ჭაბუკნი არაბთაებრნი ჴირსა ყოველისა ქვეყანისასა[19]). და ყოველი არაბეთი შუა გაყოფილ იყო, ჲ იბრძოდეს. ერთი ხანთა მეფისა მძახალი იყო და ერთი იამანთა მეფისა. ესენიცა მოსრულ იყვნეს შველად მათდა. და გამოხდა წელნი მრავალნი, რომე ერთმანეთსა ბრძოლასა შინა იყვნეს. მოერიენეს ხანნი იამანთა მით, რომელ იგი თურქნი და არაბნი ერ-

---

[19]) ამისთანა თქმა შესახებ ქართველებისა შეგვხვდება არა თუ მარტო ქართველების ნაწერებში, არამედ უცხოელებისაშიაც.—ჭაბუკი სვანურად დღესაც აღნიშნავს გმირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად იყვნეს, მათი ბრძოლა კაცთაგან ძნელი არის. გააძეს ერთი იგი მეფე და წავიდა იამანსა. და გაჰყვა ერთი დიდებული მისთაგანი, რომელსა სახელად ერქვა ომარ, ლომი ჭაბუკი, დიდი და დიდებული (ამ დიდებულის შვილს ერქვა ამბრი და მეტ სახელად ამარ)... და მოახსენა ამბრი არაბმან იამანთა მეფესა: მოოხრებულ არს სამეფო შენი თურქთაგან, და აწ მიბოძეთ ლაშქარი, და წავალ თურქეთს ზღვევად ამდენისა სისხლისა, რომელი თხეულ არს მათის ხელისაგან. გაეხარნეს მეფესა და უბრძანა წვევა ლაშქართა, გავიდეს სპარსალარნი, შეჰყარეს სამოცი ათასი მხედარი, შეჯდა მეფე იამანთა, გავიდა და ნახა სპა თვისი და მიათვალა ამბრი არაბსა... და უბრძანა: „ვესავ ღმერთსა ჩემსა, რომე ძლევა ჩვენდა მოუცემიეს“ (ამბრი სასტიკად შეებრძვის თურქებს, რომელთა მხედრობის რიცხვი იყო 800,000 კაცი და დაამარცხებს მათ გამოძევებულ არაბთა მეფის შემწეობით. მერე წაიყვანს ლაშქარს, რომ ამ გამოძევებულ არაბთა მეფეს დაუბრუნოს მისი მამული. მწვავედ შეებმიან მოპირისპირე მეფის 200,000 მხედრობას, გაიმარჯვებენ და დაიპყრობენ მთელს არაბეთს. წინანდელი მეფე არაბეთისა გაიქცევა ხანთა სამეფოს კერძოდ, შემოიკრებს ჯარს და შემოიყვანს არაბეთს. მთელი არაბეთის ერი გადუდგება ამბრისა და მის-მიერ გახელმწიფებულ მეფეს, რომელნიც გამაგრდებიან ერთ მცირე ქალაქში. მოპირისპირე მეფე შემოერტყმის ხსენებულ ქალაქს, შეაჭირვებს მათ, შეიქმნება ომი საშინელი, ამ არეულობაში „საგდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელს გარდააყრიან“ არაბთა მეფის ძეს და შეიპყრობენ. მის სახსნელად გავა ამბრი, გასწყვეტავს მოწინააღმდეგეთ, გაათავისუფლებს არაბთა მეფის ძეს, მოჰკლავს არაბთამეფეს ⁊ აგრეთვე მის მოკავშირე ხანთა მეფეს და გაამეფებს არაბთა მეფის ძეს, 35 წლის ყრმა-ჯაბუკს. ამის შემდეგ მალე დროში კვდება ამბრი და მის სიკვდილს იგლოვს მთელი არაბეთი და იამანეთი). „აქ დასრულდა კარი ამბრი არაბისა და ინდოჯაბუკისა არაბეთს შესვლისა. დაუსრულებელმცა ჰყენეს უფალმან დიდება სუფევისა თქვენისა აწ და უკუნისამდე. ამინ“ (გვ. 89).

როგორც ვიცით, თურქნი პირველად გამოჩნდნენ 1048 წელს. რამდენიმე წლის განმავლობაში მაი, დასცეს ძირს ძლიერება ბერძენთა, აიღეს ბაღდადი, დაიპყრეს მცირე-აზია, სომხეთი და გაავრცელეს თვისი მფლობელობა არხიპელაგ-ბოსთორიდგან შუა გულ აზიის ყაშგარამდე. მაშასადამე ხონელის-მიერ მოთხრობილი ბრძოლა არაბებისა თურქებთან უნდა მიეწერებოდეს 1048 წლის მომდევნო დროს.

თუ ხონელის «არაბეთი» საქართველოა და მის მიერ აღწერილი ამბავი შეეხება ჩვენს ქვეყანას, მაშინ ეს თხრობა ხონელისა მოგვაგონებს ისტორიას ბაგრატ IV-ისას, რომლის მეტოქედ განდგომილმა ლიპარიტ ორბელიანმა გამოიყვანა საბერძნეთს გარდახვეწილი დემეტრე, ბაგრატის ძმა. მაშინ ტფილისი ეჭირათ არაბებს. ბაგრატმა არ მოინდომა ტფილისის ემირის გაძევება. ლიპარიტ-დიმიტრიმა და ბაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატმა ბევრი იბრძოლეს. ხან ერთი მხარე იმარჯვებ-და, ხან მეორე. ბოლოს ბაგრატი იძულებულ იქმნა წასულიყო საბერძნეთს, იქიდგან რომ დაბრუნდა, ლიპარიტი შეიპყრეს და წარუდგინეს მეფეს, დემეტ-რეც უკვე მომკვდარიყო.

იმ ნაირადვე, როგორათაც მოსე ხონელი მოგ-ვითხრობს არაბეთის ამბავს, აღწერილია აგრეთვე თამარის მამის გიორგის დროის საქართველოს ყო-ფა-მდგომარეობა (იხ. დაწვრილებით «ქართლ. ცხოვ.» და ჩვენ-მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორია“).

ხონელის „ამირან დარეჯანისძის“ ყოფა-ცხოვ-რება, თავგარდასავალი აგრეთვე ძრიელ მიემსგავსება საქართველოს სახელმწიფოს ზრდასა და განვითარე-ბას. ვახტანგ გორგასლის შემდეგ, როგორც ვიცით, საქართველო თან და თან დასუსტდა, მრავალ საე-რისთოებად დაიყო. შემოსეულ სარკინოზებმა გაუ-ჭირეს სიცოცხლე გაყოფილ-განაწილებულ ქართვე-ლებს, ბოლოს მონობის მძიმე უღელმა ქართველებ-ში დაჰბადა აზრი შეერთებისა და შერიგებისა. ეს-რეთი აზრი პირველად გამოინასკვა არტანუჯისა და ტაოს მთავრების ოჯახში. ამათთან შემოიკრიბა უკე-თესი ნაწილი ერისა. ამ ჯგუფმა მამულის შვილები-სამ ნელ-ნელა განაძლიერა სახელმწიფო უფლება, ნელ-ნელა შეაერთა საქართველოს დაგლეჯილ-დაკუ-წულნი ნაწილნი, და ეს ძლიერება მეათე საუკუნის დასასრულს დაგვირგვინდა მით, რომ აფხაზეთ-სა-ქართველო შეეხორცა და შეეწება ერთმანეთს. ამ ძალამ ორიოდ საუკუნის განმავლობაში შემუსრა ძლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერება არაბთა, სპარსთა და თურქთა და საქართველო შეჰქმნა დიდებულ სახელმწიფოდ. იგი სახელმწიფო თამარ დედოფლის დროს, როგორც ამბობს შავთელი, შეიქმნა „მნათობად“ აღმოსავლეთისა.

სწორედ ესრეთისავე ბედისაა როგორც ხონელისა, ისე სახალხო ლეგენდის ამირანი. ვიდრე იგი შეირთავს მნათობთა ქვეყნის მეფის ასულს ხვარეშანს და ვიდრე გახდება მეფედ და შეიქმნება „უმეტეს მეფეთა შორის დიდთა“, ბევრს და უამრავს განსაცდელს გამოივლის, შემუსრავს მრავალს მტრებს, ბოლოს, როდესაც მისს სახელს მოეფინება შარავანდედი ძლიერებისა და უძლეველობისა, მასთან შემწეობის სათხოვნელად მოდიან დიდოეთის მეფე, ხაზარნი, იამანნი, ბალხნი და სხ., და ამირანიც ყველას ეწევა, ყველას ჰშველის.

მოსე ხონელი მოგვითხრობს ერთს ამბავს, რომელიც მოგვაგონებს ისტორიას შესახებ ბაგრატოვანთ შთამომავლობისა და გამეფებისა საქართველოში. იგი სწერს: „....პატრონნი ჩვენნი არა ძველთაგან ხელმწიფენი არიან, აზნაურნი იყვნეს, ძალითა და ჭაბუკობითა გამეფდეს და დიდებასა მიხვდეს. დარისპან იყო. გარეშემონი მეფენი მრავალნი გაასხნა და თვით გამეფდა. მოკვდა დარისპან მეფე და დასტოვა ცოტა ყმა სეფედვალე, ძე თვისი. იმომკროვეს იგი გარეგანთა მტერთა, დაიწუნეს ესე პატრონი ჩვენი, შეკრბნენ, მოადგნენ და წარულეს ქვეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანი სრულობით. სეფე დვალს [20]) დარჩა მხოლოდ ერთი ქალაქი, დიდი, ტურფა და კეკელა..; ძე ვინმე იყო და პარსან რაბაშინისძე, იგინი იყვნეს უფროსნი მტერნი პატრონისა ჩვენისანი (გვ. 186). (შემდეგ გაიმართება სასტიკი ბრძოლა. იმარჯვებს სეფედვალე. ბოლოს სძლევენ მტერნი).

გურამ ბაგრატოვანი რომ გამეფდა, წინანდელ მეფეთა (სასანიდთა) შთამომავლობამ დიდხანს იბრძოლა ბაგრატოვანებთან, ამის გამო იყო რომ გურამის შემდეგ იმეფა მისმა შვილმა სტეფანოზმა, მის შემდეგ ადარნასე სასანიდმა, მერე მისმა შვილმა სტეფანოზმა და შემდეგ ისევ ბაგრატიონებმა.

დასასრულ აქვე ჩავურთავ ქორწილის აღწერას.

ხონელი სწერს: „გასცა დედოფალმან ბრძანება ყოველსა სამეფოსა თვისსა და მისწერა წიგნნი, ვითა: მოვიდა ამირან დარეჯანისძე, ლომი ჭაბუკი, სრათა სამეფოთა ჩვენთასა. აწ მოდით და თაყვანის ეცით, და ნახეთ სასიძო ჯ სამეფო ქვეყანისა ამის ჩვენისა.

---

[20]) მოსალოდნელია, რომ დვალეთი იყოს სამთავრო დვალისა. ვახუშტის თქმით, დვალეთი წარმომდგარა რუსულ სიტყვებიდამ два лѣта და ამიტომ დვალეთი ორწლოვანებს ნიშნავსო! მტკნარი შეცდომაა. სიტყვებში დვალ-ეთი, ორ-ეთი, კახ-ეთი და სხ. ეთი ადგილისა და მამულის აღმნიშვნელი ნაკვთია. ამიტომაც და აგრეთვე ოზურგეთი თათრულ სიტყვებიდამ „ოსურ გეთ“-იდამ კი არ წარმომდგარა, არამედ წმინდა ქართულ ფორმიდამ, მეგრულის თავსართავით: ო-ზურგ-ეთი=სა-ზურგ-ეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უთქვენოდ არ შემირთავს პირ-მთვარე ასული ჩემი, თუცა თქვენ ნებითა თქვენითა არა მაწვიოთ, არა თუ სიტყვითა ჩემითა. თუცა ძალედვას მეფობა თქვენი, შევრთო ასული ჩემი ცოლად, და თუცა მას არ ძალედვას, გამოვინმირჩიოთ ჭაბუკი სხვა, მისგან უკეთესი, და იგი ვჰყო. მე ვარ დიაცი ერთი და მოვდღეევებულვარ საწუთროთაგან ჩემთა, და სიბერისა ჟამნი მოახლებულ არს ჩემზედან, და ვერ შემძლებელვარ მეფობისა წილ, და ვერცალა ვიქმ ამა საქმესა. ანუ უქმროდ დავარჩინოა მზეთა მზე ასული ჩემიო! — მაშინ ისმინეს ყოველთა და შემოკრბეს დიდებულნი დი მცირენი საპატრონოსა მისისანი და თაყვანისცეს ამირან დარეჯანისძესა, მიართვეს ძღვენი დიდი და თქვეს ყოველთა ერთპირად: ცხონდი უკუნისამდე დღეთა სიგრძითა, მეფეთ მეფეო. და მერმე მოახსენეს დიდებულთა მის ქვეყნისათა დედოფალსა, ვითა: არა სადა გვინახავს თვალითა ჩვენითა ეგეთი კაცი დაბადებიდგან *), ესე სამეფო სვიანი

---

*) ქართულ ნაწერებშა მხოლოდ ბოლო დროს გვხვდება „დან“, ხოლო ძველად მუდამ „დგან“ ანუ თგან (დაბადებიდგან და სხ.). „დან“ შეადარე თათრულს ეგ (სახლი), ეგ-დან (სახლითგან), ათ (ცხენი), ათ-დან (ცხენიდგან), მეშა (ტყე), მეშა-დან ჩიხდი (ტყითგან გამოვიდა), წერ-დან ოლიირ (მიწითგან ჩნდება), ალლაჰ-დან ოლდი (ღვთისაგან იქმნა), არფა-დან იჩკუ ყაირი-ირლარ (ქერისაგან სასმელს აგეთებენ), თუთ-დან არაყი ჩიხარ (თუთისაგან არაყი გამოვა), სენ-დან ბუნი ყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უიმედო, იმედ გარდაწყვეტილთა და უმეფოთა კაცითა, ღმერთმან ისეთი მეფე გამოგვიჩინა, რომელ არა ნახულა მისებრი პირსა ყოვლისა ქვეყანისასა. აწ, დედოფალო ჩვენო, ღირს არს ესე მეფედ ჩვენზედა, და ჩვენ ყოველნივე მორჩილებდეთ და თაყვანის ვსცემდეთ სმენად ბრძანებათა მისთა... ამაზედან დაასკვნეს ქორწილი ხვალისა დღისათვის და დაემზადნენ... ოდეს დილასა სინათლე ელვარე აღმობრწყინდა, იწყეს ქორწინება სრათა შიგან სამეფოთა. ჯერეთ არ გვენახა იგი მთიები ხვარეშან ქალი. მას ჟამსა გამოიყვანეს, კაცისა თვალსა მისებრი არა უნახავს-რა. დააქორწილეს ორნივე ქალ-ყმანი. რომელ იყო იგი გვირგვინი დაუფასებელი, დაადგეს თავსა მათსა, დალოცეს მეფედ ამირან დარეჯანისძე და დასვეს ტახტსა მნათობსა და შეასხეს ქება. იყო სიმრავლე ურიცხვისა ერისა. და არა მინახავს მოკაზმულობა ეგეთი,—დიდისა და მცირისა ყოველთავე. იქმნა სიხარული უსაზომო. მივედით. შეგვიყვანეს სხვასა სრასა, რომელსა შიგან დაეგოთ პური. ორი კუბო (ტახტი) იდგა მათ სრათა შიგან, ერთი წითელი ძოწეული და ერთი მოწვანე. ...საჯდომნი დიდებულთა იყვნეს ოქროს სელნი. დასხდენ პურად მის ძოწეულისა კუბოსა შიგან იგი ამირან დარეჯანისძე და ხვარეშან ქალი, ორნივე შემოსილნი

ირან ოლმაზ (შენგან ამის გამკეთებელი არ იქმნება), ქუთაის-დან გელდი (ქუთაისით მოვიდა), თიფლის-დან ყაჩდი (ტფილისითგან გაიქცა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოწეულითა და ოქროქსოვილითა... და მეორესა მწვანესა საჯდომსა დაჯდა თვით დედოფალი (ხვარეშანის ქალი, მამა უკვე მოჰკდომოდა) მარტო. და მუნ სამეფოთა ტაბლათა ზედან თვალისა ჭიქათა და ჯამთა მეტი არა იმსახურებოდა-რა რომელიმე იყოჭიქა ძოწეული იაგუნდისა, რომელიმე მწვანისა ზუ რ მუხტისა, რომელიმე ყვითლისა იაგუნდისა და რომელიმე ბადახშანისა ლალისა *). რაღას ვსთვლიდე: გაგვიკვირდა ტურფათა სიმრავლე. ჲ კულავ აზნაურთა ტაბლათა ზედან ყოველთავე ჯამი ოქროსი და ჭიქები ბაღდადურისა ბროლისანი... ჲ გამოიღეს გვირგვინი ყვითლისა იაგუნდისა, ბრწყინვიდა იგი, რომელ დაჰფარვიდა მზისა შარავანდედსა... შემოსეს მეფესა შესამოსელნი და დაადგეს თავსა მისსა გვირგვინი და შემოსეს ხვარეშან ქალსაცა შესამოსელი მოთვალ-მოამარგალიტებული და დაადგეს გვირგვინი ერთობილისა იაგუნდისა [21]) და შეიმოსა დედოფალმაცა მგზავსი სიკეთისა მისისა. და მუნით გამოვიდნენ მეჭურჭლენი და გამოიღეს შესამოსელნი მათ დიდებულთათვის... არა იყო განსვენებისა რიცხვი... გასცეს ურიცხვი დიდებულთა და მცირებულთა ზედა... იმღერდეს მგოსანნი და მოშაითნი აჯამთა იქმოდიან.. ერთი სახლი იყო ცოტა მოჭედილი ოქროთა ჲ თვალ მარგალიტითა, ჲ კედელნი მურასად

---

*) შეადარე; „ჯამი და ჭიქა ფირუზისა და ლალისა“ (რუსთველი. გვ. 71).

[21]) „ზვირგვინი მთელისა იაგუნდისა“ (რუსთველი, გვ. 211)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნილნი, და იატაკნი ოქროსანი. ამას შიგან იყო ნადიმი ჟამადმდე, და გაიყარნეს მუნითგანცა. მერმე... საწოლთა შინა ნადიმი გარდავიხადეთ და დიდებულნიცა თანა შეიტანეს. შეეედით სახლსა მას ცოტასა (ხონელის „ცოტა“ მუდამ პატარას აღნიშნავს), ბრძანა დედოფალმან: „დიდებულთა რა უნდა, ბრძანონ“. ამა სიტყვათა ზედან დაზიდნეს ჭახრაკთა ბ გაიხვნეს გარეგანით ფიცარნი კედელთანი ოქროსანი. დავხედენით, ყოველთა დიდებულთა ბ ყოველთა დასტი[22]) წინა ედგა. გვ-ბოძეს სხვა და სხვა უშვენიერესნი საბოძვარნი. გარდავიხადეთ ნადიმი და გავიყარენით. დავყავით მას ქორწილსა შიგან დღე ათი... მოიღეს სამოცისა საჭურჭლისა კლიტენი და ეგრე მოახსენა დედოფალმან ამირან დარეჯანის ძესა, ვითა საჭურჭლენი ყოველნი შენდა მიძღვნიაო... მერმე გავედით სანადიროდ. მოსრულიყვნენ მეავაზენი და ბაზიერნი, ჰყვათ ავაზა სამოცი, ბ თეთრი ქორი სამოცი ბ მწყაზარი ქორი ასი, მეძებართა რიცხვის ანგარიში არ იქნებოდა... დავბრუნდით. ბრძანა ხვარეშანმან: აჰა, აწ წარვიდეთ ქალაქსა ჩემსაო. მერმე ბრძანა დედოფალმან: „მე ბერი დიაცი ვარ ბ ტარება აღარ შემიძლიანო, თქვენ ყრმანი ხართ და აცოცხლნეს ღმერთმან წელსა მეათასესა[23]) მეფობა თქვენი, წადით და განისვენეთო“. მოახსენეს დედოფალსა: უთქვენოდ არ წა-

---

[22]) დასტი, ფიალა, სასმისი.

[23]) „აწ, შვილნო, ღმერთმან თქვენ მოგცეთ ათას წელ დღეთა გრძელობა“ (რუსთ. გვ.227).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალთო. წამოვიდა დედოფალიცა, ვიარეთ ღრისა ერ-
თისა სავალი ჯ მივედით ხვარეშან ქალის საუფლის-
წულოსა. ქალაქი ქალაქსა სჯობდა, ციხეები წით-
ლითა ქვითა ნაგები იყო, ზღუდეები შვენიერნი და
სრანი უცხონი. ..რა სამეფოთა სრათა შევიდოდით,
იყო ფოლორცი, დასხმული წითლითა ქვითა ძო-
წეულითა, იმიერ და ამიერ, სამეფოთა სახლთამდე
ზღუდეთ შექმნილი, და მას ზედან იყო სადგომი მე-
ბუკე-მედაბდაპეთა. იდგნიან და უცემდიან ბუკთა და
დაბდაბთა, და მოშაითთა ხმანი იქმნიან ტკბილ სას-
მენელნი. და მას სავალსა ერქვა გზა მეფეთა. შევია-
რეთ და მივედით კართა ზედან პალატისათა და სხვა
ზღუდე იყო ძოწეულისა ქვისანი, შვენიერნი და მას
ზედან იყვნეს კარნი ძოწეულისანი დიდნი და ტურ-
ფანი. გაახვნეს კარნი პალატისანი, და იყო მას ში-
გან სიმრავლე დიდებულთა, ყოველნივე მოსილნი
ოქრო-ქსოვილითა, და თავ-პირსა ოქრო-რიდე შეშ-
ვენოდათ. მოგვეგებნეს, შეასხეს ქება, თაყვანისცეს
და აწვიეს მას პატრონსა ჩვენსა და მეფესა მათსა.
შევედით მას ტურფასა სრასა შიგან, დედოფალი და
ასული მისი სხვასა საწოლსა შიგან შევიდე'... ვე-
რა შევიგენით, თუ როგორ იყო გებული სრა, და
ესე ვიცი, რომელ კ.ედელნი იყვნ.ს ძოწეულისა და
ზ.ედათ თეთრი და მის ცისაგან გამოკრთებოდა ელ-
ვარება, ვითარცა ციმციმი მზისა... მოვიდნენ მეჭურჭ-
ლეთ უხუცესნი და მოიღეს .მეფისათვის შესამოსელ-
ნი შვ.ნიერნი, გვირგვინი და ძღვენი, და ჩვენთვის-
ცა საბოძვარნი, რომლისა არა იყო რიცხვი. ჩაიცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფემან შესამოსელი ოქრო-ქსოვილი, თვალითა ძვა-
თობითა შეთხზულნი და მარგალიტი დიდროვანი, და
დაადგეს თავსა გვირგვინი. მოვიდეს ეჯიბნი და აწ-
ვიეს პურად. წავედით მას სახლსა, სადა პური ეგო...
სახლნი ანაგებად იყვნეს უცხონი და სვეტნი და
ყველა ბრწყინვალედ შეჭედილნი თვალ მარგა-
ლიტითა და სვეტის თავსა ცეცხლის ფერნი ნათობ-
დეს, ასე რომე ამას იტყოდით ამას ღამით არ უნ-
და სინათლეო. იყვნეს კედელნი მოჭედილნი ოქ-
როთა მყარითა და იმღერდეს მგოსანნი და მოშაით-
ნი... მას პურობას შიგან ჭურჭელთაგან თვალის
ჯამთა და ჭიქათაგან კიდე არა იმსახურებდის... მე-
ორესა დღესა ხვასა სახლსა შევედით ნადიმად. კულავ
დგეს აგრეთვე კუბონი[24]) ორნი, და კედელნი მის
სახლისანი თეთრი, ვითა თოვლი და მას შიგან დგეს
მრგვლივ მგოსნები და იმღერდეს. დავსხედით ნა-
დიმად. მეფისა წინა დასტი იდგა წითლისა იაგუნდი-
სა და ეგრევე საწდე იაგუნდისა. შეიქმნა ლხინი და
დავიწყეთ შესმა ლალი'ა ფერთა ღვინოთა... მესა-
მესა დღესა სხვასა სახლსა შეგვიყვანეს ნადიმად..
მცირესა შიგან იგი სახლი ქაფური აიყო, არა ერთობით,
განარევით მულრიბად ნახელოვნები და თვალ მარგა-
ლიტითა შეკაზმული... და ყნოსით მოგვბერვიდა
სურნელებასა შვენიერსა. იგი სახლი საზაფხულოდ

---

[24]) კუბო ტახტის მნიშვნელობით იხმარება „ქართლ. ცხოვრებაშიაც“: დაუძლურებული თამარი ნაჭარმაგევიდამ წა-მოიყვანეს კუბოთი ტფილისს (გვ. 334)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო განსასვენები[25]) ხვარეშან ქალისა... შეღამდა ზედან და არა გაჰყარეს ნადიმი[26]). მაშინ მოიხვნეს ოთხნი სანთელნი და ოთხსავე ყურეთა აღანთეს-ორნი ძოწეულნი და ორნი თეთრნი, და იგინი ნათობდეს. მეოთხესა დღესა გვაწვიეს სხვასა სახლსა ნადიმად, ცოტა იყო იგი სახლი, ალვისა და თვალმარგალიტით შეკაზმული. და იგი სახლი იყო საზამთროდ მის ხვარეშან ქალისა. მოიხვნა მეჭურჭლეთა უხუცესმან კლიტენი საჭურჭლეთანი ასი[27]) და მიართვა ამირან დარეჯანის ძესა".. (გვ. 147).

ამით ვათავებ ჩემს საუბარს «ამირან-დარეჯანიანის" შესახებ. ჩემის აზრით, მოსე ხონელი არის დიდებული მწერალი ქართველებისა, ხოლო მისმიერ შექმნილი «ამირან-დარეჯანიანი» არის ისრეთი მებოძირი (ადგილი, საცა იყრებიან ოთხის კუთხის გზანი), რომელსაც უპყრია შესავალ-გასავლის კარები ყველა კლასიკურ თხზულებათა. „ამირან-დარეჯანიანს" რომ ჰკითხულობს კაცი, ჰგონია ხევსურეთ-ფშავეთში ვარო და იმათს ამბებს ვისმენ და იმათს

---

[25]) შეადარე: „ნაჭარმაგევი თამარის მამის გიორგის სალხინო სახლი იყო" (ქართლ. ცხ. გვ. 266), აზეულა (კოჟორი)-საზაფხულო.

[26]) სწორედ ისრე, როგორც ახლა ჩვეულებად აქვთ ქართველებს: სადილს მოაბმენ ხოლმე ვახშამსაც.

[27]) „აწ გქონდეს ასი საჭურჭლე« (რუსთველი, გვ. 71).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებას ვუყურებო *). მოსე ხონელის მიერ აწუ-
რილი კლდე-კოშკები დღესაც მრავალია საქართვე-
ლოში, — მათგან ზოგი განადგურებულ-დაზიანებული
ლ ზოგი ისევ ამაყათ ცათამდე აღზიდული. მოსე ხო-
ნელის ენა-მზეობა თუ არ აღემატება რუსთველისას,
არც ჩამოუვარდება მას. ამას გარდა, მოსე ხო-
ნელის ნაწერით სრულად ირკვევა ის კითხვაც,
რომ IX—XII საუკ. სასულიერო წიგნებიცა და
საეროც ერთნაირის ენით უწერიათ; მაგალითად
მოსე ხონელიცა (XII საუკ.) და გიორგი მთა-
წმინდელიც († 1066 წ.) ერთნაირად ხმარობენ
ფორმებს: გამო ვინმე ვიდა (ვინმე გამოვიდა), წარ
თუ ვსთქვა (თუ წარვსთქვა), გამო ვინ მირჩიოთ (ვინ
გამომირჩიოთ) და სხ. [28]). ეჭვს გარეშეა ისიც, რომ მო-

*) ზეპირთქმულობით, როგორც ზემოთ ვსთქვ-თ, მოსე
დანიშნულ იქმნა მმართველად მთისა. შესაძლოა, რომ მთად
იგულისხმებოდეს თუშ-ფშავ-ხევსურეთ-დიდოეთი. დიდოეთის
ამბავს ვრცლად გადმოგვცემს მოსე ხონელი. სხვათა შორის ერთ
ადგილას იგი ამბობს, რომ დიდოეთში დიდი აჯანყება მოხდა
და აქაური მეფე განაძევესო. ეს დიდოთ მეფე მოვიდა ამირანთან და
შემწეობა ითხოვაო. ამირანი წავიდა დიდოეთს და ეს ქვეყანა
დაიპყრა და გამოძევებული მეფე ისევ ტახტზე დასვაო. საზო-
გადოდ მოსემ მშვენიერად იცის მთის, და მეტადრე დიდოეთის,
ამბები. ალბად ამით აიხსნება, რომ ლეგენდა შესახებ ამირა-
ნისა ფშავ ხევსურეთში დაცულა უფრო სრულად, ვიდრე სხვაგან.

[28]) ამგვარივე რთული ფორმები დღეს ისევ იხმარება
სვანთა მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სე ხონელის სამწერლო კილო და მისი ლექსიკონი ფრიად გაამდიდრებს ჩვენს აწინდელს ლიტერატურულს ენას და შემოიტანს მასში მრავალს ახალს პოეტურ ხატ-სურათს. მაგ., ჩვენის აზრით, ერთ რათმე ღირს ხონელის თქმა: „დილა გათენდა. პირი მიწისა ლალის ფერად მზემან შესცვალა“, და სხვა.

დღემდის გვისაყვედურებენ, ქართველები რა ხალხი ხართ, მრავალი საუკუნე გიცხოვრიათ ⁄ რუსთველის მეტი ვერა შეგიქნიათ-რა და ეს რუსთველიც თქვენს გრძელს ისტორიაში მოგვეჩვენება ვითარცა ციდამ მოწყვეტილი ცისნატეხი, რომლის გაგება და ცოდნა თქვენც კი გეძნელებათო. ამგვარს საყვედურს თავისი მ ზეზი აქვს და ეს მიზეზი ის არის, რომ ქართველებს დღემდის არ გვიზრუნვია, რიგიანად შეგვესწავლა ჩვენი კლასიკური მწერლობა, მთელი კრებული ანუ ციკლი იმ თხზულებათა, რომელთა გვირგვინი არის უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი“. ვისაც შეუსწავლია იოანეს მიერ დაწერილი და ნოტებით დანიშნული „საგალობელი“ (მე-X საუკ.), თხზულებანი ეფთვიმე მთარგმნელისა (†1028 წელს), გიორგი მთაწმინდელისა († 1066 წ.), ფილოსოფოს პეტრიწისა, მოსე ხოელისა, შავთელისა, „ვისრამიანის“ ავტორისა, ჩახრუხაძისა ⁄ სხ. მისთვის სრულიად მოულოდნელი არ არის ქართველების დანტეს-შოთას გამოჩენა მე-XII საუკ. გასულს. ამბობენ, პირველად რუსთველმა შექმნა მაღალ ხარისხოვანი პოეტური ენაო, არც ეს აზრია მართალი, რადგან შოთას დროამდე ქართული ენა უკვე აყვავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და მით, ფრიად მკაფიოდ, გამოითქმოდა ღვთის მეტყველება, მეცნიერება (შატბერდის „ქრისტომატია“ ბერაისა), გალობა („საგალობელი“ იოვანესი), პოეზია და სხ. მაგალითად იოანეს გალობისა ⷭ გიორგი მთაწმინდელის ენა-მზეობისა მოვიღებ ორიოდ ნიმუშს.

„საგალობელი“ მე-X საუკ.

რომელმან სიბრძნეთ დაჴ-
ბადნა ცანი ძალითურთ
ⷭ შეჰქმნა ქვეყანაჲ ოდენითა
თანა-მკვიდრითურთ *)

რუსთველი.

რომელმან შეჴქმნა სამყარო
ძალითა მით ძალიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ჴელნა ზეცით მონაბერითა

გიორგი მთაწმინდელს, თვის მიერ ნათარგმნ სახარების პირველ გვერდზედ, მიუწერია ლექსი, რომლის სათაურ ასოებში ამოიკითხვის „გეორგი“.

ბანსაგრთომელთა ღვიისა საქმეთა წიგნი
ემბაზით მადლით ადმომშობელი ჩვენი
ოტკეცრთ გუარეს ოფლის ნამუშაკევი.
რომელთა გწყურის, სვემდით წყალსა ცხოველსა,
ბარნა ჩვენდადცა იოხდით, რომელისა
იტუკიან თავნი სტიხოსთანა სახელსა [29])

„ევერიის“ მკითხველებს ეხსომებათ აგრეთვე, რომ

*) იხ „საუნჯე მეათე საუკუნისა“

[29]) იხ. ჩვენს ხელნაწერ რვეულში „Гелатское и Джручское евангелія съ минятюрами“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოს კალინოვსკის გამოკვლევით ევროპიელთა ენებზე გადაღებული განთქმული ლექსი «Вечерній звонъ, вечерній звонъ, какъ много думъ наводитъ онъ», არის ქმნილება ამავე გიორგი მთაწმინდელისა [30]).

დიახ, ჩვენ იქამდის მივედით, რომ აწ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ: დიდ-ბუნებოვანი მწერალი ჩვენ ერთი კი არა გვყოლია, არამედ ამ ერთს (რუსთველს) გარდა კიდევ ბევრი სხვანიც. შეგვიძლიან ვსთქვათ ისიც, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ არის უდიდებულესი ქმნილება ქართველთა გონება-გენიოსობისაო, იგი არის მრავალ მნიშვნელოვანი ეპეპეა ყოვლის ევრიისაო. და რახან ეს უკვდავი ქმნილება ამისთანა ხასიათისა ყოფილა, მაშ ჩვენც, ყველა ქართველნი, მოვალენი ვართ ვიზრუნოთ იგი დავსტამბოთ, გამოვაქვეყნოთ, შევისწავლოთ, შევითვისოთ. ჩემის აზრით „ამირან-დარეჯანიანის“ გამოცემას უნდა მიეცეს სამეცნიერო ხასიათი. უწინარეს ყოვლისა ყველა ვარიანტებიდგან უნდა აღდგენილ იქმნას პირვანდელი მისი ტექსტი; ამას გარდა, დამატებად უნდა დაიბეჭდოს ყველა ვარიანტები სახალხო ლეგენდისა „ამირანი“ (ხევსურული, ქართლურ-კახური, იმერული, სვანური, ოსური), აგრეთვე ლეგენდანი „ავთანდილი“, „როსტომი“ (და ხელნაწერი „როსტომიანი“). ყველა ამ გმირისეულ ლეგენდებსა და ნაწერებს აქვსთ რაღაც კავშირი, მო-

---

[30]) იხ. „ევრია“ 1886 წ. № 137, მოწინავე წერილი. იგი ლექსი კაზლოვს ინგლისურიდამ გადმოურუსულებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესაობა, დამოკიდებულება. ეს საქმე რომ შესრულდება, მაშინ და მხოლოდ მაშინ ადვილად გავიგებთ რუსთველის მიერ გამოთქმულს ხატ-სურათებს, მის მიერ ნასიტყვს იგავ-არაკს. აუცილებლად საჭიროა აგრეთვე მეცნიერულად გამოიცეს „დილარიანი“, „რუსუდანიანი“, „ალლუზიანი“, „შესხმანი“ შავთელისა და რუხაძისა. ყველა ამის არ შესწავლა ჯ არცოდნა არათუ არცოდვაა, არამედ დიდი დანაშაულობა.

19 აპრ.

Digitized by Google